

თავი 4

საპენსიო უზრუნველყოფა

პენსიები სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ეუთო-ს ქვეყნებში საპენსიო უზრუნველყოფაზე გაწეული დანახარჯები საშუალოდ შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 7,4%-ს, ხოლო ევროკავშირის 15 ქვეყანაში - 8,2%-ს. დიდ ბრიტანეთში პენსიონერების შემოსავლების უზრუნველყოფაზე სახელმწიფოს მიერ დახარჯული რესურსების საერთო მოცულობა მცირედით ჩამორჩება ეუთო-ს ქვეყნების საშუალო დონეს და მცირედით აღემატება მშპ-ის 6%-ს.

მრავალ განვითარებულ ქვეყანაში საპენსიო სისტემებს დიდ დატვირთვა აქვთ მოსახლეობის დაბერების გამო (და კერძოდ, მომუშვე მოსახლეობის რიცხოვნობასთან შედარებით პენსიონერების რიცხვის ზრდის გამო). მოსახლეობის დაბერების მთავარი ფაქტორი არის ინდივიდუალური სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა. დიდ ბრიტანეთში 65 წლის ასაკის მამაკაცის საშუალო მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა დღეს 19 წელს შეადგენს, ხოლო 1950 წელს ეს მაჩვენებელი 12 წელი იყო. მოსალოდნელია, რომ 2030 წლისათვის ის 21 წლამდე გაიზრდება, ხოლო 2050 წლისათვის ეს მაჩვენებელი 21,7 წელი იქნება. ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა კიდევ უფრო მაღალია და ისიც მუდმივად იზრდება, თუმცა უფრო დაბალი ტემპებით. სინამდვილეში მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა მომავალში შეიძლება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყოს: ამ მაჩვენებლების პროგნოზირება ძალიან არაზუსტია, ვინაიდან ისინი დამოკიდებულები არიან მედიცინის განვითარებაზე და ადამიანების ქცევაში მომხდარ ცვლილებებზე (მათ შორის კვებასა და მოწევაზე). წარსულში გაკეთებული პროგნოზებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა მომავალ ცვლილებებს. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის მთავრობის აქტუარული ანგარიშების დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ 1981 წელს შედგენილი პროგნოზის თანახმად, 2004 წელს 65 წლის მამაკაცის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 14,8 წელი იქნებოდა, რაც ფაქტიურ მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად ნაკლები აღმოჩნდა.

მოსახლეობის დაბერების მეორე დემოგრაფიული ფაქტორია „ბები-ბუმერების“ (ეს ტერმინი ახასიათებს უჩვეულოდ მრავალრიცხოვან ასაკობრივ კოჰორტას) თაობის დაბერება. დიდ ბრიტანეთში XX საუკუნეში ორჯერ ჰქონდა ადგილი შობადობის ბუმს. პირველი ბუმი იყო უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1940-იანი წლების შუა პერიოდში, ხოლო მეორე - 1960-იანი წლების ბოლოს. აქამდე ეს კოჰორტები თანამიმდევრულად ავსებდნენ მომუშვე მოსახლეობის რიცხოვნობას, მაგრამ დაბერებასთან ერთად ისინი დროებით გაზრდიან პენსიონერების რიცხვს.

და ბოლოს კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის დაბერებაზე, არის შობადების შემცირებული მაჩვენებლები. ყველა ევროპულ ქვეყანაში შობადობის ჯამური კოეფიციენტი არის კრიტიკულ დონეზე დაბლა, რომელიც საჭიროა თაობების **ჩანაცვლებისთვის/კომპენსაციისათვის???**: ითვლება, რომ მოსახლეობის სტაბილური რიცხოვნობის შესანარჩუნებლად საშუალოდ ერთ ქალზე 2,1 ბავშვი უნდა მოდიოდეს. ამ მაჩვენებლის ყველაზე მაღალ მნიშვნელობებს ადგილი აქვს ირლანდიაში (1,99) და საფრანგეთში (1,90). ყველაზე დაბალი მაჩვენებლები დამახასიათებელია

გერმანიისთვის (1,37), ესპანეთისთვის (1,33), იტალიისთვის (1,32) და საბერძნეთისთვის (1,27). დიდ ბრიტანეთში ეს მაჩვენებელი 1,74-ის ტოლია.

ყველა დასახელებული ფაქტორის მოქმედება მთლიანობაში იწვევს ხანდაზმული მოსახლეობის წილის ზრდას. პრონოზების მიხედვით, ევროპის კავშირის 15 ქვეყანაში 65 წლის და უფროსი ასაკის ადამიანების ჯგუფი, რომელიც დღეს მოსახლეობის 15%-ს შეადგენს, 30%-ს უკვე 2050 წლისათვის მიაღწევს. დიდ ბრიტანეთში ეს ზრდა რამდენადმე ნელი იქნება - ამ წიგნის დაწერის მომენტში ხანდაზმული მოსახლეობის წილი 15% იყო, რომელიც 2050 წლისათვის 25%-მდე გაიზრდება. მოქმედ საპენსიო სისტემაში ცვლილებები თუ არ მოხდება, ხანდაზმული ადამიანების რიცხოვნობის გაზრდა გამოიწვევს საპენსიო დანახარჯების გაზრდას. 2004 წელს დიდი ბრიტანეთის მთვრობამ დანიშნა პენსიების დამოუკიდებელი კომისია, რომლის ამოცანა იყო ქვეყნის საპენსიო სისტემის მიმდინარე მდგომარეობის შეფასება და მისი რეფორმირებისათვის წინადადებების შემუშავება. კომისიის დასკვნა ერთმნიშვნელოვანი იყო: უმოქმედობა დაუშვებელია. სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის ფაქტის აღიარების შემდეგ აუცილებელია გაკეთდეს რთული არჩევანი პირადი დანაზოგების გაზრდას, გადასახადების გაზრდას, საპენსიო ასაკის გაზრდას ან საპენსიო ასაკის მიღწევის დროს შემოსავლების დონის შემცირებას შორის.

ამ კონტექსტში ჩვენ განვიხილავთ მიზნებს, რომელიც სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს საპენსიო უზრუნველყოფასთან მიმართებაში და ფოკუსირებული იყოს იმ მნიშვნელოვან როლზე, რომელსაც პენსიები ასრულებენ ინდივიდუალური შემოსავლების დროში **გასწორებაში/შერბილებაში**. ამას შემდეგი განყოფილება მიეძღვნება. შემდეგ ჩვენ განვიხილავთ, შეძლებს თუ არა საბაზრო სისტემა დასახული მიზნების შესულების უზრუნველყოფას და ვიმსჯელებთ სახელმწიფოს მონაწილეობის ალტერნატიულ ფორმებზე.

მიზნები

როგორც ბევრ სხვა სიკეთესთან მიმართებაში, ასევე მოქალაქეების პენსიებით უზრუნველყოფის დროს სახელმწიფო ზრუნავს ეფექტიანობის და სამართლიანობის მიზნების მიღწევაზე. განვიხილოთ, თუ რა იგულისხმება თითოეული ამ მიზნის ქვეშ.

ეფექტიანობა

ხშირად თვლიან, რომ პენსიის დანიშნულებაა დღევანდელი პენსიონერებისათვის რაღაც შემოსავლის შეთავაზება. ამკარაა, რომ ეს არის საპენსიო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი და სწორედ ეს დომინირებს საპენსიო სისტემების განხილვის დროს. თუმცა თუ ვილაპარაკებთ საპენსიო უზრუნველყოფის ეფექტიან დონეზე, მაშინ აზრი აქვს, რომ პენსიები განხილული იყოს როგორც მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეების შემოსავლების გარკვეულ დონეს, მას შემდეგ, რაც ისინი შრომით შემოსავლებს დაკარგავენ. ჩვეულებრივ, მასში იგულისხმება შრომითი კარიერის დროს დანაზოგების გაკეთების აუცილებლობა. ასეთი პროცესი განისხდრება, როგორც *მოხმარების ერთ დონეზე დაყვანა*. ის გულისხმობს უფრო ფართო წრის ამოცანების გადაჭრას, ვიდრე

პენსიონრებისათვის უბრალოდ შემოსავლის მიცემას. კერძოდ, საჭიროა იმისი გარკვევა, თუ ადამიანები როგორ ახდენენ იმ რესურსების აკუმულირებას, რომლებიც აუცილებელია მათ მიერ საკუთარი ხარჯების დასაფინანსებლად პენსიაზე გასვლის შემდეგ და როგორია მათ განკარგულებაში მყოფი რესურსების თანფარდობა შრომითი კარიერის მანძილზე და მისი დამთავრების შემდეგ.

ყველა ინდივიდისათვის ფუნდამენტური პრობლემაა ცხოვრების მანძილზე დაგროვილი რესურსების **ჯამის/თანხის** განაწილება ცალკეულ ცხოვრებისეულ პერიოდებს შორის. დაგროვილ რესურსებში შედის ყველა სახსარი, რომლებიც ინდივიდებმა შრომითი კარიერის განმავლობაში გამოიმუშვეს, მემკვიდრეობით მიღებული ქონება, და ასევე შემთხვევითი შემოსავლები (მაგალითად, ლატარეაში მოგებული პრიზები). ჩვენ ჯერჯერობით ვვარაუდობთ, რომ სახელმწიფო ინდივიდებს არანაირ შემოსავლებს არ სთავაზობს. ჩვეულებრივ, ყველა მიღებული შემოსავალი ადამიანის სიცოცხლის განმავლობაში არათანაბრად ნაწილდება. არსებობს პერიოდები, როდესაც ადამიანები შრომობენ და საარსებო სახსრებს თავად მოიპოვებენ, მაგრამ სიცოცხლის ბოლოს, პენსიაზე გასვლის შემდეგ მათ შრომითი შემოსავალი უკვე აღარ აქვთ. გარდა ამისა, შესაძლებელია პერიოდები, როდესაც მათი შემოსავლები შედარებით დაბალია დროებითი შრომისუუნარობის ან ბავშვების მოსავლელად სამუშაოზე შესვენების გამო. მაგრამ მოცემულ თავში ინდივიდუალური შემოსავლების დროებით ფლუქტუაციებს ჩვენ არ განვიხილავთ. ჩვენ ყურადღების ფოკუსირებას მოვახდენთ ორ პერიოდს - სამუშაოსა და პენსიაზე ყოფნას - შორის რესურსების განაწილების პრობლემაზე. ჩვეულებრივ, ადამიანები აცნობიერებენ, რომ ადრე თუ გვიან მათ პენსიაზე გასვლა მოუწევთ. ადამიანების უმეტესობა სიცოცხლის ბოლო დღეებამდე მუშაობას არ აპირებს. ასე რომ, ადამიანებისათვის მოსალოდნელია, რომ დადგება პერიოდი, როდესაც ისინი აღარ იმუშავებენ და შრომით შემოსავალს დაკარგავენ, მაგრამ თუ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს პერიოდი, ზუსტად არ არის ცნობილი.

მოცემული მდგომარეობის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. აშკარაა, რომ ის ძალიან უტრირებულია, მაგრამ ასეთივე არგუმენტები შეიძლება გამოყენებული იყოს შემოსავლის უფრო რეალისტური დონეების მიმართაც. ვთქვათ ინდივიდის ცხოვრება შემოფარგლულია ორი პერიოდით. პირველი პერიოდის განმავლობაში ის მუშაობს და მისი შემოსავალი 10 ფ. სტ. ტოლია. მეორე პერიოდში ის მუშაობას თავს ანებებს და არაფერს გამოიმუშავებს. მემკვიდრეობის, შემთხვევითი შემოსავლების და სახელმწიფოსგან მიღებული ტრანზფერების არარსებობის შემთხვევაში მთლიანი რესურსები, რომელსაც ინდივიდი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ფლობს, არის 10 ფ. სტ. ტოლი. პრობლემა, რომლის წინაშეც ინდივიდი დგას, იმაში მდგომარეობს, რომ ეს 10 ფუნტი ორ პერიოდს შორის გაანაწილოს. მას ყველა სახსრის დახარჯვა შეუძლია პირველ პერიოდში, მაგრამ მაშინ მას მეორე პერიოდში საარსებო წყარო აღარ ექნება. და პირიქით მას შეუძლია, რომ პირველ პერიოდში არაფერი დახარჯოს და გამოიმუშავებული 10 ფუნტი მეორე პერიოდისთვის გადადოს. ან ამ ორ ვარიანტს შორის რაღაც შუალედური ვარიანტებიც შეიძლება არსებობდეს.

ინდივიდის მიზანია გამოიმუშავებული სახსრები დროში ისე გაანაწილოს, რომ თავისი ჯამური კეთილდღეობის მაქსიმიზირება მთელი ცხოვრების განმავლობაში მოახდინოს. ადამიანის ქცევის ანალიზის მიმართ ეკონომიკური მიდგომის კრიტიკოსები ხშირად არ ეთანხმებიან წარმოდგენებს ინდივიდზე, როგორც homo economicus-ზე (ანუ როგორც

რაციონალურ ეკონომიკურ აგენტზე, რომელიც თავისი კეთილდღეობის მაქსიმიზაციას ახდენს). მაგრამ ანალიზისათვის საკმარისია ჩავთვალოთ, რომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ სხვა შესაძლებლობებთან შედარებით ინდივიდები შეგნებულად შეარჩევენ შედეგს, რომელიც მათ უფრო ნაკლებად შეძლებულს გახდის. ნავარაუდევია, რომ ხალხი სარგებელს ნახულობს საქონელსა და მომსახურებაში ფულის დახარჯვით და მთელის სიცოცხლის მანძილზე მათი მთლიანი კეთილდღეობა არის ორივე პერიოდში მიღებული სარგებლის ჯამი.

დიდი ალბათობით ადამიანი ვერ შეძლებს ჯამური კეთილდღეობის დონის მაქსიმიზირებას, თუ მთელ სახსრებს პირველ პერიოდში დახარჯავს. მან პირველ პერიოდში ფული რომ დახარჯოს ეგზოტიკურ ტურებში ან მაღალტექნოლოგიურ მოწყობილობებში და ამისგან ძალიან დიდი სარგებელი ნახოს, მას მეორე პერიოდში ლუკმა პურის ყიდვის საშუალებაც აღარ ექნება. თუ ინდივიდი პირველ პერიოდში გამოიმუშვებულ 1 ფუნტს მეორე პერიოდში გადაიტანს, მაშინ მეორე პერიოდში 0-დან 1 ფ. სტ.-მდე მოხმარების გაზრდის გამო მისი **სარგებლის ნამატი**, სავარაუდოდ, უფრო მაღალი იქნება, ვიდრე დანაკარგები პირველ პერიოდში მოხმარების 10-დან 9 ფუნტამდე შემცირების გამო. ანალოგიურად, თუკი ის მეორე პერიოდში გადაიტანს კიდევ 1 ფუნტს, მაშინ სარგებლის ნამატი პირველ ფუნტთან შედარებით ცოტათი ნაკლები იქნება, მაგრამ ეს ნამატი საკმარისია პირველ პერიოდში მოხმარების კიდევ ერთი ფუნტით შემცირების საკომპენსაციოდ.

ორ პერიოდს შორის დანახარჯების ოპტიმალური თანაფარდობის ძიებას მივყავართ *მოხმარების ზღვრული სარგებლის (სარგებლიანობის) შემცირების მნიშვნელოვანი კანონის განსაზღვრამდე/განსაზღვრებამდე*, რომელიც ამტკიცებს, რომ მოხმარების ნულოვანი დონიდან ყოველ მომდევნო დონეზე გადასვლის დროს მოხმარებული სერვისის დამატებითი ერთეული გამოიწვევს მთლიანი სარგებლის სულ ცოტათი ნაკლებ ზრდას, წინა დონესთან შედარებით. ეს ნაჩვენებია 4.1 ცხრილში. პირველ სვეტში თანამიმდევრულად არის მოცემული **რაღაც სიკეთის/სერვისის** მოხმარების მოცულობები (ფუნტ სტერლინგებში). მეორე სვეტში ასახულია მოხმარების თითოეული დონისგან მიღებული მთლიანი სარგებელი. მაგალითად, 3 ფუნტის **სიკეთის/სერვისის** მოხმარება შეესაბამება მთლიანი სარგებლის მიღებას, რომელიც 27 ერთეულის ტოლია. მესამე სვეტში ასახულია სიკეთის დამატებითი ერთეულის მოხმარების შედეგად მიღებული მთლიანი სარგებლის ნამატი - ამ სიდიდეს ზღვრული სარგებელი ეწოდება. მოცემულ შემთხვევაში სიკეთის მესამე ერთეულის მოხმარება სარგებლის საერთო ჯამს კიდევ 8 ერთეულს უმატებს. ასე რომ, მოხმარების დონის ზრდასთან ერთად მოხმარებული სიკეთის ყოველი დამატებითი ერთეულისგან მიღებული სარგებელი მცირდება.

4.1 ცხრილის მონაცემების დახმარებით ადრე მოყვანილი მაგალითისთვის შესაძლებელია რესურსების განთავსების დროითი არჩევანის პრობლემის გადაწყვეტა. თუ ინდივიდი მთელ თავის რესურსებს (10 ფ. სტ.) პირველ პერიოდში (ან მეორე პერიოდში) დახარჯავს, მაშინ მისი მთლიანი სარგებელი 55-ის ტოლი იქნება. თუ ის 1 ფუნტს პირველი პერიოდიდან მეორეში გადაიტანს, მაშინ მთლიანი სარგებელი 64-მდე გაიზრდება (54 პირველში და 10 - მეორეში). პირველიდან მეორე პერიოდში რესურსების ნახევრის გადატანა და თითოეულ პერიოდში 5 ფუნტი სტერლინგის ღირებულების სერვისის მოხმარება უზრუნველყოფს მაქსიმალურ სარგებელს, რომელის 80-ის ტოლია. სწორედ ეს არის ეფექტიანი განაწილება. ეს

ნიშნავს, რომ ინდივიდის მიერ გამომუშვებული რესურსების ნახევარი დაიხარჯება მისი შრომითი კარიერის განმავლობაში, ხოლო მეორე ნახევარი - პენსიაზე გასვლის შემდეგ.

ცხრილი 4.1. მოხმარება და მოხმარების ზღვრული სარგებელი

მოხმარების მოცულობები, ფ. სტ.	მოხმარების მთლიანი სარგებელი, ერთეულები	მთლიანი სარგებლის გაზრდა ბოლო ერთეულის მოხმარების შედეგად (ზღვრული სარგებელი)
1	10	10
2	19	9
3	27	8
4	34	7
5	40	6
6	45	5
7	49	4
8	52	3
9	54	2
10	55	1

განხილული მაგალითი რეალურ სიტუაციას ძალიან ამარტივებს, თუმცა გვეხმარება დროში რესურსების განაწილების პრობლემის არის გარკვევაში და ახდენს საპენსიო დანაზოგების ეფექტიანი დონის ანალიზისადმი მიდგომის დემონსტრირებას. პრაქტიკაში არსებობს საბაზისო მოდელის რამდენიმე მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია დროში უპირატესობების ცვლილებების, მომავალი მოხმარების დისკონტირების და დანაზოგებიდან უკუგების აღრიცხვა/გათვალისწინება, რომლებსაც დაწვრილებით განვიხილავთ.

ჯერ ერთი, ადამიანის მოთხოვნილებები/მოთხოვნები ცხოვრების მანძილზე შეიძლება იცვლებოდეს. მაგალითად, პირველ პერიოდში ადამიანებს უჩნდებათ მოთხოვნები, რომლებიც სამუშაოსთან არის დაკავშირებული (სატრანსპორტო მომსახურება ან საოფისე ტანსაცმელი), ბევრ მათგანს მოთხოვნა აქვს საბავშვო საქონელზე (საფენები, წიგნები). ერთიც და მეორეც გავლენას მოახდენს მოხმარების ზრდაზე პირველ პერიოდში. მეორე პერიოდში სამუშაოს არქონის გამო ადამიანებს სულ უფრო მეტი თავისუფალი დრო ექნებათ, რამაც ხარჯების აუცილებლობა შეიძლება შეამციროს ან გაზარდოს, რადგან თავისუფალი დროის გატარების გარკვეული სახეები, როგორებიცაა, მაგალითად, ბოულინგი ან ლოტო, დამატებით ხარჯებს საჭიროებენ. უფრო ხანდაზმულ ასაკში ხარჯები იზრდება მკურნალობის და სპეციალური მოვლის აუცილებლობის გამო, თუმცა ეს მოთხოვნილებები შეიძლება სახელმწიფოს მიერ იყოს უზრუნველყოფილი. ამიტომ სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში მოხმარების ერთ დონეზე ეფექტიანი დაყვანა ვერ იქნება წარმოდგენილი, როგორც სრული გათანაბრება, სავარაუდოდ, ფაქტიური მოხმარება მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, ადამიანებს ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებზე უჩნდებათ.

მეორე, თავიდან ჩვენ ვივარაუდეთ, რომ მოხმარებას ორივე პერიოდში ინდივიდისათვის ერთნაირი მნიშვნელობა აქვს. პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა, ვინაიდან, როგორც წესი, ადამიანები მომვლის დისკონტირებას ახდენენ. ეს კი ნიშნავს, რომ ისინი დღეს წარმოშობილ დანახარჯებს და სარგებელს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ დანახარჯებთან და სარგებელთან შედარებით, რომელიც მათ პერსპექტივაში მოელით. მომავლის დისკონტირებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან პირველ პერიოდში ინდივიდები გადაწყვეტილებებს ღებულობენ იმასთან დაკავშირებით, თუ დღეს რა რაოდენობის სახსრები დახარჯონ და რამდენი გადადონ მეორე პერიოდისთვის. იღებენ რა ასეთ გადაწყვეტილებას, მათთვის, სავარაუდოდ, მეორე პერიოდში დახარჯულ ერთ ფუნტს და პირველ პერიოდში დახარჯულ ასეთივე თანხას ერთნაირი წონა არ ექნებათ და ამიტომ ისინი უფრო მეტს პირველ პერიოდში დახარჯავენ. არსებობს რამდენიმე მიზეზი, რომელთა გამოც ადამიანები მომვალის დისკონტირებას ახდენენ. შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჩვეულებრივ მოუთმენლობას - როდესაც სურვილი გაქვს ყველაფერი დღეს მიიღო და მეორე დღეს არ დაელოდო. დისკონტირება საკმაოდ რაციონალურად შეიძლება აიხსნას იმით, რომ ყველასთვის არსებობს ალბათობა იმისა, რომ ინდივიდი მეორე პერიოდამდე ვერ იცოცხლებს და ამიტომ პირველ პერიოდში უფრო მეტის დახარჯვას აზრი აქვს. დისკონტირების ფენომენი ძალიან მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების ეკონომიკური პრობლემების განხილვის დროს და ჩვენ მას 8 თავში დავუბრუნდებით.

ცხრილი 4.2. მოხმარება და სარგებელი დისკონტირების გათვალისწინებით

<i>მოხმარება პირველ პერიოდში</i>	<i>სარგებელი პირველ პერიოდში</i>	<i>მოხმარება მეორე პერიოდში</i>	<i>მოსალოდნელი სარგებელი მეორე პერიოდში</i>
1	10	1	5,0
2	19	2	9,5
3	27	3	13,5
4	34	4	17,0
5	40	5	20,0
6	45	6	22,5
7	49	7	24,5
8	52	8	26,0
9	54	9	27,0
10	55	10	27,5

დისკონტირების ეფექტის საილუსტრაციოდ ისევ ჩვენს მაგალითს მივუბრუნდეთ და დავუშვათ, რომ ინდივიდებისათვის მიმდინარე მოხმარება ორჯერ უფრო მეტად ფასობს, ვიდრე მომავალი მოხმარება. მომავლის დისკონტირება გამოვლინდება იმ მომენტში, როდესაც ისინი ღებულობენ გადაწყვეტილებას, თუ რა რაოდენობის სახსრები დახარჯონ პირველ პერიოდში და მეორე პერიოდისთვის რამდენი გადადონ. 4.2 ცხრილში წარმოდგენილია მნიშვნელობები, რომლებსაც ინდივიდები მოხმარებას ანიჭებენ თითოეულ პერიოდში გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მეორე პერიოდის სარგებელს *მოსალოდნელი სარგებელი* ეწოდება, ვინაიდან ისინი ახასიათებენ სარგებლის სიდიდეს,

რომლის მომავალში მიღების იმედიც აქვს ინდივიდს განსხვავებული მოცულობის სერვისების მოხმარების შედეგად.

თუკი ინდივიდი, რომელიც მომავლის დისკონტირებას ახდენს, რესურსებს თანაბრად გაანაწილებს პირველ და მეორე პერიოდში მოხმარებას შორის, მაშინ მის მიერ ცხოვრების მანძილზე მიღებული სარგებლის ჯამური სიდიდე 60-ის ტოლი იქნება. მას მთლიანი/ჯამური სარგებლის გაზრდამეუძლია მიმდინარე მოხმარების გაზრდის ხარჯზე, რადგან მიმდინარე მოხმარება მისთვის ძალიან ფასეულია. ასე რომ, იმ რესურსების განაწილება, რომელიც იწვევს ინდივიდის ჯამური სარგებლის მაქსიმიზაციას (62,5) გულისხმობს პირველ პერიოდში 7 ფუნტის სერვისის და მეორე პერიოდში 3 ფუნტის სერვისის მოხმარებას. ინდივიდი რაც უფრო ძლიერად მოახდენს მომავლის დისკონტირებას (ანუ მომავალი მოხმარება ნაკლებად ფასეულია მიმდინარე მოხმარებასთან შედარებით), მეორე პერიოდისთვის ის უფრო ნაკლებ თანხას გადადებს.

ბოლო და მნიშვნელოვანი შენიშვნა იმაში მდგომარეობს, რომ დანაზოგებს შემოსავლის მოტანა შეუძლიათ. თუკი ვინმე მოხმარების მომავლისათვის გადადებს ანიჭებს უპირატესობას, მაშინ მეორე პერიოდში შესაძლებელია ფულის ინვესტირება და გამრავლება. ეს ნიშნავს, რომ დანაზოგებს შეუძლიათ გაზარდონ მთლიანი მოხმარება (და შესაბამისად სარგებელიც) მომავალ პერიოდში რესურსების ნაწილის გადატანის ხარჯზე. მაგრამ უკუგების ნორმა ძალიან მაღალიც რომ იყოს, ხალხი, სავარაუდოდ, მთელ თავიანთ რესურსებს საპენსიო ასაკამდე არ შეინახავს ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, როგორცაა მოხმარებიდან მიღებული ზღვრული სარგებლის შემცირება და მომავლის დისკონტირება. გარდა ამისა, პრინციპში, დანაზოგებიდან მიღებული უკუგების ნორმა საკმაოდ მაღალი უნდა იყოს, რათა ცალკეულმა ინდივიდებმა მიმდინარე მოხმარების ნაწილი მომავლისთვის გადადონ.

აქამდე ჩვენ განვიხილავდით რესურსების ეფექტიანი განაწილების საკითხებს იმ პერიოდებს შორის, როდესაც ინდივიდი მუშაობს და პენსიაზე გასვლის შემდეგ. რესურსებისგან, რომლებსაც ადამიანები ცხოვრების მანძილზე ინახავენ, რომ შრომითი კარიერის დასრულების შემდეგ დახარჯონ, იქმნება საპენსიო სახსრები, მაგრამ ჩვენ ჯერ არაფერი გვითქვამს იმის შესახებ, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს სახსრების აკუმულირება შრომითი კარიერის მანძილზე და მისი დასრულების შემდეგ როგორ უნდა მოხდეს მათი დახარჯვა. როდესაც ჩვენ პენსიაზე ვფიქრობთ, ჩვენთვის ის არის დანაზოგების ერთ-ერთი შესაძლებელი ფორმა (მაგალითად, საბანკო ანგარიშის მსგავსი). მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები სიბერისთვის ფულს სხვადასხვა აქტივებში აბანდებენ (მაგალითად, აქციებში, უძრავ ქონებაში, საკუთარ ბიზნესში), როდესაც პენსიების შესახებ ვლაპარაკობთ, გავახსენდება ზოგიერთი თავისებურება, რომლებიც სწორედ დანაზოგების ამ ფორმისთვის არის დამახასიათებელი. საპენსიო დანაზოგების დაბეგვრის თავისებურებებთან ერთად თვითონ დანაზოგების მიმართ არსებობს განსაკუთრებული წესები: საპენსიო სახსრების ანგარიშიდან მოხსნა განსაზღვრული ასაკის დადგომამდე არ შეიძლება (ან საპენსიო ანგარიშიდან სახსრების ვადამდელი მოხსნა დაჯარიმებას გამოიწვევს). მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საპენსიო დანაზოგს ინდივიდი თანდათან ხარჯავს და პენსიაზე გასვლიდან გარდაცვალებამდე თანაბარ თანხას იღებს. შემოსავლების ასეთ სტაბილურ ნაკადს *ანუიტეტი* ეწოდება. თუ ადამიანი ფულს ბანკში ინახავს, მას შეუძლია ფული ბანკიდან გამოიტანოს და თუკი სურვილი აქვს, მთლიანად ახალ

„ფერარიში“ დახარჯოს. მაგრამ საპენსიო ანგარიშის შემთხვევაში ანალოგიურად მოქცევა არ შეიძლება. დიდ ბრიტნეთში, თუკი ვინმეს აქვს ინდივიდუალური საპენსიო გეგმა, მას ანგარიშიდან მხოლოდ მცირე ფიქსირებული თანხის მოხსნა შეუძლია, ხოლო მთელი დარჩენილი სახსრები ანუიტეტის საყიდლად უნდა დახარჯოს, რომელიც მას სახსრებით გარდაცვალებამდე უზრუნველყოფს.

სახელმწიფოს სერიოზული მიზეზები აქვს ადამიანების წასახალისებლად, რომ მათ თავიანთი დანაზოგების რაღაც ნაწილი მაინც იმ ანგარიშებზე გადაატანინოს, რომლებიც მომავალში სტაბილური შემოსავლის მიღების საშუალებას იძლევიან. ამის საშუალებით ხდება იმ სიტუაციის თავიდან აცილება, როდესაც ინდივიდები უეცრად კარგავენ მთელ თავიანთ დანაზოგებს და შემდეგ დახმარებისთვის სახელმწიფოს მიმართავენ, რომელიც იძულებული ხდება, რომ ისინი შემოსავლით უზრუნველყოს. გარდა ამისა, ანუიტეტური გადახდების სისტემა წყვეტს გაურკვეველობის პრობლემას, რომელსაც ყველა ადამიანი აწყდება თავისი სიკვდილის თარიღთან დაკავშირებით. აქ ისეთივე არგუმენტების მოყვანა შეიძლება, როგორც რესურსების **დროთაშორისი** განაწილების შემთხვევაში. როგორც კი ინდივიდი პენსიაზე გადის, მის წინაშე დგება სიცოცხლის დარჩენილ წლებს შორის დაგროვილი სახსრების განაწილების პრობლემა. მას თუ ეცოდინებოდა თავისი გარდაცვლების ზუსტი თარიღი, მაშინ რესურსებს ისე გაანაწილებდა, რომ მომხდარიყო თანაბარი მოხმარების უზრუნველყოფა (სამომხმარებლო საჭიროებების ცვლილებების გათვალისწინებით). მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანებმა ზუსტად არ იციან, თუ რამდენს იცოცხლებენ. რა თქმა უნდა, არავის მოუწოდებდა აღმოჩნდეს ისეთ სიტუაციაში, როდესაც რესურსები ამოიწურება და სიცოცხლის ბოლოს მოხმარებისათვის საჭირო სახსრები საერთოდ აღარ დარჩება. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი საშუალებაა უკიდურესი წინაპირობა, რომ ადამიანი 130 წლამდე იცოცხლებს. მაგრამ აქ სხვა პოტენციური პრობლემა წარმოიშობა. თუ ადამიანი მხოლოდ 75 წელს იცოცხლებს, ის ვერ დახარჯავს დაგროვილი სახსრების მნიშვნელოვან ნაწილს. და თუ გვერდით გადავდებთ იმ სიამოვნებას, რომელიც მან შეიძლება მიიღოს დარჩენილი ფულის მემკვიდრეებისათვის დატოვებით, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ადამიანის კეთილდღეობის **მთლიანი თუ ერთობლივი** დონე არსებითად იმაზე დაბალი აღმოჩნდება, მას მთელი სახსრები ცხოვრების მანძილზე რომ დაეხარჯა. სინამდვილეში თუკი ინდივიდები რისკიანები არ არიან, მაშინ სხვა თანაბარ პირობებში ისინი ანუიტეტის ყიდვას ამჯობინებენ, რომელსაც უნიშვნელო ღირებულება გააჩნია და მათ სტაბილური შემოსავლით უზრუნველყოს მთელი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე. ასეთი სქემით გარანტირებულია, რომ ყველა რესურსს ისინი დროზე ადრე ვერ „შეჭამენ“ და დღევანდელ დღეს ხელფასიდან მცირე გადარიცხვების წყალობით ისინი მომავალში თავიდან აიცილებენ ბევრად უფრო სერიოზულ დანაკარგებს.

ასე რომ, პენსიები, ჩვეულებრივ, ორსახოვანი როლი აკისრიათ. ისინი:

- ასრულებენ დანაზოგების ფუნქციას, რაც ინდივიდებს **დროში მოხმარების ერთ დონეზე დაყვანის** შესაძლებლობას აძლევს;
- წარმოადგენენ დაზღვევის თავისებურ ფორმას სიკვდილის გაუთვალისწინებელი დადგომისაგან, უფრო ზუსტად კი იმაზე უფრო დიდხანს სიცოცხლის შესაძლებლობისაგან, რის საშუალებასაც იძლევა ის რესურსების მოცულობა, რომელიც ადამიანმა საპენსიო პერიოდის დასაწყისისთვის დააგროვა.

ბუნებრივია, რომ აუცილებელი არ არის ამ განსხვავებული როლების ერთი დაიმავე ინსტრუმენტის დახმარებით უზრუნველყოფა. ინდივიდებს შეუძლიათ უპირატესობა მიანიჭონ ფულის შენახვის ერთ-ერთ ხელმისაწვდომ ფორმას (მაგალითად, ფული საბანკო ანაბარზე დადონ ან უძრავ ქონებაში განახორციელონ ინვესტირება), ხოლო შემდეგ დაგროვილი სახსრები ანუიტეტის შესაძენად გამოიყენონ. ბევრ ქვეყანაში ინდივიდებს სახსრების დაგროვება ასევე შეუძლიათ სპეციალური საპენსიო სქემების დახმარებით, რომლებიც არ გულისხმობენ ანუიტეტურ გადახდებს პენსიაზე გასვლის დროს. მიუხედავად ამისა, დიდ ბრიტანეთში პენსიის სხვადასხვა სახეები (რომლებსაც სთავაზობს სახელმწიფო, დამსაქმებელი ან თვითონ თანამშრომლები) ორივე ფუნქციას აუცილებლად ითავსებენ.

სამართლიანობა

საპენსიო პოლიტიკის რეალიზაციაში სამართლიანობის საკითხები ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. უპირველეს ყოვლისა, ისინი წარმოიშობიან იმ პენსიებთან მიმართებაში, რომლებსაც ფაქტიურად ამჟამინდელ პენსიონერებს უხდიან. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში სახელმწიფომ დაისახა მკაფიო ამოცანა - პენსიონერების სიღარიბის შემცირება. ეს განსაზღვრულია, როგორც იმ შინამეურნეობების რიცხოვნობის შემცირება, რომელიც პენსიონერებისაგან შედგება, რომელთა შემოსავალი სიღარიბის განსაზღვრულ დონეზე დაბალია, რომელიც მოცემულ მომენტში შინამეურნეობის მედიანური შემოსავლის 60%-ს შეადგენს. მედიანურია ისეთი შინამეურნეობის შემოსავალი, რომელიც ყველა შინამეურნეობის (როგორც მომუშავეების, ისე პენსიონერების) შემოსავლების რანჟირების დროს შუაში აღმოჩნდება. ყველაზე ტიპიურ შინამეურნეობას მედიანური შემოსავალი უკეთესად ახასიათებს საშუალო არითმეტიკული შემოსავლის მაჩვენებელთან შედარებით, რადგან ეს უკანასკნელი დამოკიდებულია განაწილების თავში მყოფი ძალიან მაღალი შემოსავლების მქონე შინამეურნეობების მცირე რიცხვზე.

აღსანიშნავია, რომ ასეთი მიდგომა ეყრდნობა შედარებითი სიღარიბის კონცეფციას, ვინაიდან სიღარიბის ზღვარის დადგენა ხდება განსახილველ პერიოდში მოცემული საზოგადოების ყველა შინამეურნეობის შემოსავლებთან მიმართებაში. ის განსხვავდება აბსოლუტური სიღარიბის განსაზღვრებისგან, რომლის გამოყენებაც ნებისმიერ დროს ნებისმიერი საზოგადოების მიმართ შეიძლება, მაგალითად, შემოსავლის დონის სახით, რომელიც ადამიანს გადარჩენისთვის ჭირდება. სიღარიბის განსაზღვრების და გაზომვის პრობლემები უფრო დაწვრილებით 9 თავში იქნება განხილული. აქ კი ჩვენ შევჩერდებით რამდენიმე საკითხზე, რომლებსაც პენსიონერების სიღარიბესთან აქვთ კავშირი.

ამჟამად დიდი ბრიტანეთის მთავრობა სიღარიბის განსაზღვრების და გაზომვის ერთ მიდგომას იყენებს როგორც პენსიონერებთან, ისე სხვა შინამეურნეობებთან (შრომისუნარიანი ასაკის მქონე) მიმართებაში. შინამეურნეობა ითვლება ღარიბად, თუკი მისი შემოსავლები განსაზღვრულ დონეზე დაბალი აღმოჩნდება (მედიანური შინამეურნეობის შემოსავლის 60%), იმის მიუხედავად, შინამეურნეობა შრომისუნარიანი პირებისაგან შედგება თუ პენსიონერებისგან.

ასეთი მიდგომა არააშკარად გულისხმობს, რომ საზოგადოების ახალგაზრდა და ხანდაზმულ წევრებს შორის თანასწორობა უნდა არსებობდეს. თუ ღარიბი პენსიონერების განსაზღვრა

მოხდებოდა მხოლოდ საპენსიო ასაკის პირების შემოსავლების შედარების საფუძველზე, მაშინ შესაძლებელია, რომ პენსიონერები, როგორც სოციალური ჯგუფი, მომუშავე მოსახლეობასთან შედარებით უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებიყვნენ. ერთიანი სტანდარტების დადგენით სახელმწიფო ცხადყოფს, რომ პენსიონერების მდგომარეობა შრომისუნარიანი მოსახლეობის მდგომარეობაზე ცუდი არ უნდა იყოს. რადგან ეკონომიკაში შრომის ნაყოფიერება და გასამრჯელო მუდმივად იზრდება, მაშინ შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ინდივიდი, რომლებსაც ახალგაზრდობაში შედარებით მაღალი შემოსავლები ჰქონდათ, სიბერეში ცხოვრების საშუალო სტანდარტებზე ღარიბები აღმოჩნდებიან და ამიტომ სახელმწიფოსგან ტრანსფერებს მიიღებენ. ზომების შემოღება, რომლებიც მიმართულია პენსიონერებს შორის სიღარიბესთან საბრძოლველად, გულისხმობს თაობებს შორის შემოსავლების გადანაწილებას იმის ანალოგიურად, როგორც სახელმწიფო ტრადიციულად ახდენს შემოსავლების გადანაწილებას ერთი თაობის მდიდარი და ღარიბი შინამეურნეობების ჩარჩოებში.

ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც შესაძლოა, აზრი აქვს პენსიონერებისთვის სიღარიბის ცალკე ზღვარის შემოღებას, იმაში მდგომარეობს, რომ მათი მოთხოვნები შეიძლება დანარჩენი მოსახლეობის მოთხოვნებისგან განსხვავდებოდეს. როგორც წესი, სიღარიბის გაზომვის დროს გათვალისწინებულია **მოთხოვნები დანახარჯებზე** შინამეურნეობის დამატებით წევრებზე შესწორების შეტანით - ნავარაუდევია, რომ ორი წევრისგან შემდგარ შინამეურნეობას ცხოვრების განსაზღვრული დონის მისაღწევად უფრო მეტი სახსარი დასჭირდება, ვიდრე მარტოხელა ადამიანს (მაგრამ სხვაობა ორმაგი არ იქნება, რადგან არსებობს მასშტაბზე ეკონომია). ანალოგიურად, ბავშვიან ოჯახებს ცხოვრების განსაზღვრული დონის მისაღწევად უფრო მეტი სახსარი სჭირდებათ, ვიდრე უშვილო შინამეურნეობებს. მაგრამ არ ხორციელდება არავითარი დამატებითი კორექტირებები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნებოდა სხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ პენსიონერების მიერ ცხოვრების განსაზღვრული დონის მისაღწევად აუცილებელი შემოსავლის სიდიდეზე (მაგალითად, მუშაობასთან ასოცირებული დანახარჯები ან მკურნალობის ხარჯები). თუ პენსიონერების მოთხოვნები შრომისუნარიანი ასაკის ინდივიდების მოთხოვნებზე ნაკლები აღმოჩნდება (მაგალითად, იმის გამო, რომ ისინი ფულს არ ხარჯავენ სამუშაოზე მისასვლელად ან ძვირფასი ტანსაცმლის შესაძენად), მაშინ იმავე შემოსავლის პირობებში მათი ცხოვრების დონე უფრო მაღალი იქნება. და პირიქით, თუკი მათ საკუთარი სახსრების დიდი ნაწილის სამედიცინო მომსახურებაზე დახარჯვა მოუწევთ, მაშინ მათი ცხოვრების დონე უფრო დაბალი იქნება.

იმ საკითხს, თუ მოსახლეობის სხვა ჯგუფებთან შედარებით თავიანთ შემოსავლებს პენსიონერები როგორ ხარჯავენ, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს პენსიების სიდიდის ყოველწლიური გადახედვის დროს. დიდ ბრიტანეთში პენსიები იზრდება ინფლაციის ზრდის - სამომხმარებლო კალათის ღირებულების (რომელიც ასახავს მოსახლეობის ძირითადი მასის ხარჯებს) ცვლილების - შესაბამისად. მაგრამ თუ პენსიონერები შედარებით მეტ თანხებს ხარჯავენ გარკვეული სახის საქონელსა და მომსახურებაზე (მაგალითად, გაზის ან ელექტროგათბობა), რომელთა ფასიც ძალიან სწრაფად იზრდება, მაშინ მათი ცხოვრების დონე შემცირდება, რადგან პენსიების ზრდა მხოლოდ საერთო ინფლაციის მაჩვენებლით განისაზღვრება. ამ პრობლემის გამო გაჩნდა წინადადებები, რომ პენსიონერებისთვის მოხდეს ფასების სპეციალური ინდექსის გაანგარიშება.

პენსიონერების მიმართ სიღარიბის ერთიანი კრიტერიუმების გამოყენების ერთ-ერთი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ მათ შორის სიღარიბის დონე ძალიან არის დამოკიდებული ბიზნეს-ციკლებზე. ჩვეულებრივ, პენსიონერების შემოსავლები დაფიქსირებულია ნომინალურ ან რეალურ გამოხატულებაში, ხოლო შრომისუნარიანი ასაკის პირების შემოსავლები დამოკიდებულია ბიზნეს-ციკლებზე უმუშევრობისა და ხელფასის დონის პროციკლური ცვლილებების გამო. როგორც შედეგი, პენსიონერების სიღარიბის დონე იზრდება ეკონომიკური ბუმის პერიოდში და ეცემა რეცესიის დროს, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ პენსიონერების შემოსავლები არ იცვლება. სინამდვილეში ციკლური ცვლილებების შედეგად იცვლება შინამეურნეობის მედიანური შემოსავალი, რომელიც განსაზღვრავს სიღარიბის **შეფარდებით/შედარებით** დონეს. ერთის მხრივ, ასეთი სისტემა სასარგებლოა, ვინაიდან საზოგადოება ღელავს იმაზე, თუ როგორ გრძნობენ თავს პენსიონერები დანარჩენი მოსახლეობის ფონზე. მაგრამ თუ ობიექტურად პენსიონერების მდგომარეობა არ უარესდება, მაშინ ციკლური ფლუქტუაციების გამო დარდს აზრი არ აქვს, უკიდურეს შემთხვევაში უნდა მოხდეს შემოსავლების ნორმირება ციკლურ მდგენელზე, რომ ის ძირითადი ტრენდისგან გამოცალკევდეს.

საბაზრო სისტემა და პენსიები

ამ განყოფილებაში ჩვენ განვიხილავთ, თუ საბაზრო სისტემას რამდენად შეუძლია სამართლიანობის და ეფექტიანობის მიზნების მიღწევა. ჩვენ ანალიზს დავიწყებთ სამართლიანობის პრობლემებით, რადგან სწორედ ამ მიზნების გამო ხდება საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფო ჩარევის მოტივირება.

სამართლიანობა

წინა განყოფილებაში ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ინდივიდებისათვის ოპტიმალური სტრატეგიაა მთელი ცხოვრების მანძილზე შემოსავლების ნაკადის **ერთ დონეზე დაყვანა** შრომითი კარიერის პერიოდში გაკეთებული დანაზოგების ხარჯზე, რომ მისი დასრულების შემდეგ მოხმარების დაფინანსება მოხდეს. მაგრამ ყოველთვის შეიძლება მოიძებნონ ადამიანები, რომლებსაც ძალიან დაბალი ხელფასი აქვთ და რომლებსაც შრომითი კარიერის მანძილზე საკმარისი სახსრების გადადება უბრალოდ არ შეუძლიათ. დავუშვათ, რომ არსებობს მოხმარების მინიმალური დონე (რომელშიც შედის კვების, საცხოვრებლის და ტანსაცმლის ხარჯები), რომლის ქვემოთაც ინდივიდის არსებობა შეუძლებელია. თუკი მივუბრუნდებით ადრე განხილულ მაგალითს და ვივარაუდებთ, რომ ინდივიდის გადარჩენისთვის აუცილებელი მინიმალური დონე 6 ფ. სტ. ტოლია, მაშინ მას მხოლოდ 4 ფ. სტ. რჩება, რომლის გადადებაც მას თავისი ცხოვრების მეორე პერიოდისათვის შეუძლია. ასე რომ, ინდივიდს არ ექნება საკმარისი სახსრები, რომ პენსიაზე გასვლის შემდეგ საკუთარი ცხოვრება უზრუნველყოს.

მისთვის თავის რჩენის ერთ-ერთი შესაძლებლობა იმაში მდგომარეობს, რომ მან უფრო დიდხანს იმუშაოს. აქამდე ჩვენ ვვარაუდობდით, რომ პერიოდები ფიქსირებული იყო, ხოლო პრაქტიკაში ინდივიდებს რამდენადმე შეუძლიათ პენსიაზე გასვლის მომენტის შერჩევა.

შრომითი კარიერის გახანგრძლივება წარმოადგენს ცხოვრების მანძილზე დაგროვილი რესურსების გაზრდის ერთ-ერთ ხერხს (საპენსიო პერიოდში მოხმარების დაფინანსებისათვის აუცილებელი თანხის სიდიდის შემცირებასთან ერთად). მაგრამ პრაქტიკაში ყოველთვის შესაძლებელი არ არის იმ პერიოდის გაგრძელება, რომლის განმავლობაშიც ინდივიდი მუშაობს, მაგალითად, იმ შემთხვევებში, როდესაც დაბალი შემოსავლები ჯანმრთელობის პრობლემებით არის განპირობებული.

სახელმწიფოს შეუძლია საპენსიო სისტემის ორგანიზაციაში ჩარევის განხორციელება, რათა დაეხმაროს ადამიანებს, რომლებსაც მუშაობის პერიოდში ნამდვილად არ შეუძლიათ იმ სიდიდის საპენსიო დანაზოგების გაკეთება, რომლებიც აუცილებელია პენსიაზე გასვლის შემდეგ მოხმარების ადეკვატური დონის უზრუნველყოფისთვის. მაგრამ მხოლოდ საპენსიო შემოსავლების შესახებ მონაცემებით სახელმწიფო ვერ განსაზღვრავს, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ესა თუ ის ინდივიდი: მართლაც არ შეეძლო მას დანაზოგის გაკეთება შრომითი კარიერის მანძილზე ან ჰქონდა მაღალი შემოსავალი და პრინციპში, შეეძლო დანაზოგების გაკეთება, მაგრამ მან მიღებული ფულის დახარჯვა არჩია. სახელმწიფო მხარდაჭერა საზოგადოების იმ წევრების მიმართ, რომლებსაც პენსიაზე გასვლის შემდეგ დაბალი შემოსავლები აქვთ მხოლოდ იმის გამო, რომ მთელი გამომუშავებული ფული დახარჯეს, არასამართლიანია, განსაკუთრებით იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებსაც სახელმწიფო მხარდაჭერის მიღება არ შეუძლიათ იმის გამო, რომ ცხოვრების მანძილზე იღებდნენ **შესაბამის/შეპირისპირებად???** ანაზღურებას და სიბერისთვის სახსრებს შეგნებულად ინახავდნენ. პრინციპში, სახელმწიფოს შეეძლო ამ შემთხვევების გამოცალკევება ინდივიდების მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე მიღებული შემოსავლების შეფასების საშუალებით, მაგრამ პრაქტიკაში ასეთი შეფასებების გაკეთება საკმაოდ რთული და ძვირია. უფრო მეტიც, ეს პრობლემას სრულად არ გადაჭრის, რადგან მხედველობის არედან ამოვარდება მრავალი ადამიანი, მაგალითად ისინი, ვინც დიდი მემკვიდრეობა მიიღეს. მსგავსი მსჯელობები ახდენს სამართლიანობის სხვადასხვა გაგების/ცნებების??? შესაძლო წინააღმდეგობის დემონსტრირებას: თანასწორობის მიღწევა იმათ სასარგებლოდ გადანაწილების ხარჯზე, ვისაც ყველაზე დაბალი მიმდინარე შემოსავლები აქვთ და ერთნაირი დამოკიდებულება იმ ადამიანების მიმართ, რომელთა **მთლიანი** შემოსავლები მთელი ცხოვრების მანძილზე **ერთნაირია/ტოლია.**

ეფექტიანობა

თუკი ინდივიდებისათვის ოპტიმალურ გადაწყვეტილებას წარმოადგენს მთელი ცხოვრების მანძილზე მოხმარების **მოცულობის ერთ დონეზე დაყვანა** საპენსიო დანაზოგების ხარჯზე, მაშინ რა როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფომ იმ ინდივიდების მხარდაჭერის გარდა, რომელთა გასამრჯელოც იმდენად დაბალია, რომ მათ დაგროვების განხორციელების საშუალება არ გააჩნიათ? პრაქტიკაში არსებობს ბაზრის რამდენიმე ჩავრდანა, რომლებიც ამართლებენ სახელმწიფო ჩარევას. ჯერ ერთ, ადგილი აქვს ინფორმაციის პრობლემებს, რომლებიც ინდივიდებს საშუალებას არ აძლევენ, რომ დანაზოგების სიდიდის შესახებ ოპტიმალური გადაწყვეტილება მიიღონ. მეორე, არსებობენ რისკები, რომ ბაზრები მზად არ აღმოჩნდებიან ან ვერ შეძლებენ საპენსიო დაზღვევის ადეკვატური პროგრამების შეთავაზებას. ჩვენ ამ საკითხებს თანამიმდევრულად განვიხილავთ.

არასრულყოფილი ინფორმაცია

რესურსების განთავსების დროითი არჩევანის პრობლემის გადაჭრა პრაქტიკაში საკამოდ რთულია. ერთ-ერთ ძირითად წინააღმდეგობას წარმოადგენს სწორი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის ნაკლებობა. განასხვავებენ ბაზრის საინფორმაციო ჩავრდნის რამდენიმე სახეს. ერთ-ერთი მათგანია საკუთარი მომავალი შემოსავლების სიდიდის და სიკვდილის თარიღის გაურკვეველობა. ცალკეულმა ადამიანმა ეს არ იცის იმიტომ, რომ ეს საერთოდ არავინ არ იცის. ბაზრის მეორე ჩავრდანა იმის გამო ხდება, რომ საპენსიო ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად შესაძლოა ინდივიდი არ ფლობდეს მთელ აუცილებელ ინფორმაციას ან არ იყენებს მისი მოპოვების ყველა შესაძლებლობას. ბევრი ეკონომიკური მოდელი გულისხმობს, რომ ინდივიდები, რომლებიც რესურსების განთავსების დროითი არჩევანის პრობლემებს წყვეტენ, არიან რაციონალური, კარგად ინფორმირებული აგენტები. მაგრამ უკვე არსებობს სულ უფრო მეტი გამოკვლევები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ შეიძლება სინამდვილეში ყველაფერი ასე სულაც არ არის.

გამოკვლევები აჩვენებენ, რომ ინდივიდები საპენსიო გადაწყვეტილებებს აღიქვამენ, როგორც ძალიან რთულს. თუ ვინმე გადაწყვეტს, რომ საპენსიო დანაზოგებით დამოუკიდებლად დაკავდეს, მას არჩევანის გაკეთება მოუწევს სადაზღვევო ბაზრის მიერ შეთავაზებულ ათასობით განსხვავებულ პროდუქტს შორის, რისთვისაც საჭიროა რთული გადაწყვეტილებების მიღება დანაზოგების მოცულობასა და აქტივების ტიპებთან მიმართებაში, ანუ განხორციელებული ინვესტიციების რისკის ხარისხის შეფასება. ბუნებრივია, რომ მომხმარებლები რთულ გადაწყვეტილებებს იღებენ ბევრი სხვა პროდუქტის ყიდვის დროს (როგორცაა ავტომობილები ან კომპიუტერები). მაგრამ პენსიების შემთხვევაში ადგილი აქვს ფუნდამენტურ განსხვავებას, რადგან პენსიები, როგორც წესი, ერთჯერადი შენაძენია, ანუ მომხმარებელს არ აქვს შესაძლებლობა ისწავლოს ცდის და შეცდომების გზით. ნებისმიერ შემთხვევაში მომხმარებელს არ შეუძლია განსაჯოს, მიიღო თუ არა სწორი გადაწყვეტილება, რადგან შედეგი თავისი ბუნებით ცვალებადია. ის, ვინც მანქანას ყიდულობს, ვალდებული არ არის იცოდეს, თუ როგორ არის მოწყობილი, მას ამის შესახებ მსჯელობა შეუძლია მანქანის გზაზე ქცევის მიხედვით; მაგრამ ინდივიდისათვის, რომელიც საპენსიო დაზღვევის პროგრამას ყიდულობს, საკამოდ რთულია მისი მსგავსი სახით შეფასება. უფრო მეტიც, ბევრი საპენსიო პროგრამა ისეა აგებული, რომ მყიდველს არაფერს უხსნიან და უფრო აბნევენ, მაგალითად, სადაზღვევო შენატანების რთული და გაუმჭირვალე სქემების გამო.

ამ საინფორმაციო პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს საპენსიო პროგრამების მიმწოდებლების მიმართ წაყენებული მოთხოვნა, რომ მყიდველებს მიაწოდონ სტანდარტიზებული ინფორმაცია, რაც მათ სწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას მისცემს. თუმცა წარმოიშობა მეორე შეკითხვა: ცალკეული ადამიანები რამდენად არიან ფინანსურად განათლებულები, ანუ რამდენად შეძლებენ ისინი მათთვის მიწოდებული ინფორმაციის გამოყენებას, თუკი მას საერთოდ მიიღებენ. დიდი ბრიტანეთის ზრდასრულ მოსახლეობას შორის რაოდენობრივი ანალიზის უნარების კვლევებმა აჩვენეს, რომ მოსახლეობის ნახევარს არ შეუძლია უბრალო შეკრებასა და გამოკვლევაზე რთული მათემატიკური ოპერაციების შესრულება და არ ესმის პროცენტები, რთული საპროცენტო განაკვეთები და სხვა კონცეფციები, რომლებიც წარდგენილი ინფორმაციის გასაანალიზებლად არის აუცილებელი.

იმის მაგივრად, რომ საპენსიო დაზღვევის პროგრამები დამოუკიდებლად იყიდოს, ბევრი მომხმარებელი ამჯობინებს მიმართოს ფინანსურ კონსულტანტებს, რომლებსაც აუცილებელი ინფორმაცია და მისი ანალიზისათვის საჭირო ცოდნის საკმარისი დონე გააჩნიათ. მაგრამ ზემოთ აღნიშნულ ბევრ პრობლემას, რომლებიც მომხმარებლებს იძულებულს ხდიან, რომ რჩევისათვის პროფესიონალს მიმართონ, შეიძლება ადგილი ჰქონდეს საკონსულტაციო მომსახურების ბაზარზე. თუკი შეთავაზებული სადაზღვევო პროდუქტების ხარისხის შეფასება მომხმარებლებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ, მაშინ არ არსებობს გარანტიები, რომ ისინი სწორად შეაფასებენ კონსულტანტის მიერ მიცემულ რჩევას. თუ ინდივიდი ვარცხნილობის გასაკეთებლად პარიკმახერთან მიდის, ის საკმაოდ სწრაფად გაიგებს, კარგად შეასრულა თუ არა ოსტატმა თავის საქმე. მაგრამ როდესაც ადამიანები მიმართავენ ფინანსურ კონსულტანტს, მის მიერ მიცემული რჩევის ხარისხის შეფასებას ისინი დიდხანს ვერ შეძლებენ. თუ ამავე დროს კონსულტანტები მათ მიერ გაყიდული საპენსიო პროგრამების შესაბამისად გარკვეულ საკომისიოს იღებენ (რაც საკმაოდ ხშირად ხდება), მაშინ მათ სერიოზული სტიმულები გააჩნიათ, რომ რეკომენდაცია გაუწიონ პროგრამების გარკვეულ სახეებს, რომლებიც კლიენტებისთვის ყოველთვის ოპტიმალური არ არის.

საინფორმაციო პრობლემა ბარიერს წარმოადგენს ინდივიდუალური საპენსიო დანაზოგებისთვის. ბარი და დაიმონდი [Barr, Diamond, 2006] აღნიშნავენ, რომ მას აშკარა შედეგები აქვს როგორც სამართლიანობის, ისე ეფექტიანობის თვალსაზრისითაც, რადგან ხშირად ყველაზე ნაკლებად ინფორმირებული ადამიანები იმავდროულად ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილებიც არიან. არსებობს ბევრი მტკიცებულება იმისა, რომ ღარიბი ინდივიდები ცოტას ზოგავენ. თუმცა უფრო ძნელია იმისი დამტკიცება, რომ ისინი „არასაკმარისად“ ზოგავენ. ამის დასამტკიცებლად აუცილებელია ინდივიდების კეთილდღეობის მიმდინარე დონის შესახებ სრული მონაცემების ფლობა და ასევე რამდენიმე ვარაუდის გაკეთება მათი მომავალი გასამრჯელოების, პენსიაზე გასვლის ასაკის, დანაზოგების და ა.შ. შესახებ. დაბალი შემოსავლების მქონე ბევრი ინდივიდისთვის შემწეობების არსებობა, რომელიც საჭიროების შემოწმებას ეფუძნება, ნიშნავს, რომ დანაზოგებზე უარის თქმა შეიძლება ოპტიმალური სტრატეგია აღმოჩნდეს (ამას შემდეგ განვიხილავთ).

არსებობს იმისი მტკიცებულებები, რომ პენსიაზე გასვლის შემდეგ სერვისების მოხმარება მცირდება (იხ. მაგალითად, ნაშრომი [Banks et al., 1998]). ეს ეთანხმება ჰიპოთეზას დანაზოგების არასაკმარისი დონის შესახებ. თუმცა გამოკვლევები ძირითადად აჩვენებენ, რომ დანაზოგების არასაკმარის დონეს, ჩვეულებრივ, განაპირობებს ავადმყოფობის გამო პენსიაზე ნაადრევი გასვლა და არა სისტემატურად დაბალი დანაზოგები (იხ. [Smith, 2006]). მიუხედავად ამისა, რამდენიმე ბოლო ნაშრომში, რომლებიც ეძღვნებიან საპენსიო დანაზოგების თავისებურებებზე საპენსიო პროგრამების ორგანიზაციის გავლენას, დამტკიცებულია, რომ საინფორმაციო პრობლემები რეალურ წინააღმდეგობას წარმოადგენენ სახსრების დაზოგვისათვის. მაგალითად, გააზრებულ რეგისტრაციასთან (როდესაც გარკვეულ საპენსიო სქემას ინდივიდები თვითონ ირჩევენ) შედარებით ავტომატური რეგისტრაცია (როდესაც ინდივიდები სიაში ავტომატურად შეჰყავთ, მაგრამ მათ შეუძლიათ უარი თქვან საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე, თუ სქემა მათ არ აწყობთ) ზრდის კომპანიების მიერ შეთავაზებულ საპენსიო სქემებში მონაწილეობის დონეს. საპენსიო სქემის

შერჩევის გამარტივება, მაგალითად, შეთავაზებული ვარიანტების რიცხვის შემცირების ხარჯზე, ასევე ზრდის მონაწილეობის დონეს. ჩოი თანაავტორებთან ერთად [Choi et al., 2004a, 2004b] და ასევე ტელერი და ბენარცი [Thaler, Benartzi, 2004, 2007] მოცემულ ფენომენს ახალი ქცევითი (ბიჰევიორისტული) ეკონომიკის ჩარჩოებში იკვლევენ^[7]. ავტორების დასკვნები, შესაძლოა, სრულიად მოსალოდნელია, მაგრამ ისინი მიღებული ვერ იქნებოდნენ ტრადიციული მოდელების ჩარჩოებში, სადაც რაციონალური, კარგად ინფორმირებული ინდივიდები საპენსიო პროგრამებს ირჩევენ. ასე რომ, საინფორმაციო პრობლემები და ასევე ინერტულობის და პროკრასტინაციის პრობლემები^[8] გავლენას ახდენენ ადამიანების მიერ ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებაზე. ეს ქცევითი პრობლემები საპენსიო დანაზოგების სტიმულირების პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს.

აგრეგირებული რისკები

ანუიტეტური საპენსიო გადახდები არის დაზღვევის ფორმა იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდი ცოცხლობს იმაზე მეტს, რის უზრუნველყოფასაც ის თავისი დანაზოგების ხარჯზე შეძლებდა ან პირიქით, თუკი მანამდე მოკვდება, ვიდრე მთელ დაგროვილ სახსრებს დახარჯავს. დაზღვევა ეფუძნება ინდივიდუალური რისკების გაერთიანებას. მზღვეველმა იცის სიკვდილიანობის მაჩვენებელი ადამიანების გარკვეული კოჰორტისათვის, თუმცა არ იცის თითოეული კონკრეტული ინდივიდის სიკვდილის თარიღი. ის ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი ადამიანი პენსიაზე გასვლის შემდეგ საკმაოდ მალე მოკვდება, ხოლო ზოგი ხანდაზმულ ასაკს მიაღწევს. იქნებიან წაგებულები (ისინი, ვინც ადრე მოკვდა და პენსიის სახით იმაზე ნაკლებს მიიღებენ, ვიდრე შრომითი კარიერის დროს გადარიცხეს) და მოგებულები (ისინი, ვინც დიდხანს იცოცხლებს და შესაბამისად, მეტ თანხას მიიღებენ). ამ ორ ჯგუფს შორის ბალანსი პრაქტიკაში დაცული იქნება.

მაგრამ რა მოხდება, თუ ყველა იმაზე მეტს იცოცხლებს, ვიდრე მზღვეველმა ივარაუდა? მოგებული უფრო მეტი აღმოჩნდება, ვიდრე წაგებული, მზღვეველი ფულს დაკარგავს და საბოლოო ჯამში გაკოტრდება. ეს აგრეგირების პრობლემაა ან სხვანაირად რომ ვთქვათ, სოციალური რისკი. თუ ყველა დაზღვეული წააწყდება რისკის ერთნაირ დონეს, მაშინ სადაზღვევო ბაზარს მათი გაერთიანების უნარი აღარ ექნება. ტექნიკური რისკები არ არის დამოუკიდებელი მოვლენები. კერძო კომპანიებისაგან განსხვავებით, მოცემულ პრობლემასთან გამკლავება სახელმწიფოს შეუძლია თაობებს შორის რისკების განაწილების გზით, მაგალითად, ამჟამად მომუშვე მოსახლეობაზე გადასახადების დაწესების და შეგროვილი სახსრების საშუალებით დღევანდელი პენსიონერების პენსიების დაფინანსების გზით. როგორც ამ თავში დავრწმუნდით, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაურკვეველი ზრდის რისკი სრულიად რეალურია. ამიტომ ასეთი რისკებისაგან მოსახლეობის დაზღვევაში სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ან მზღვეველების დეფოლტის შემთხვევაში კომპენსაციების გაცემის გზით ან პირდაპირი სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯზე.

მეორე სოციალურ რისკს ინფლაცია წარმოადგენს. მომხმარებლებს შეუძლიათ ანუიტეტის შექმნა, რომლის ინდექსაციაც ინფლაციის შესაბამისად ხორციელდება, ანუ ანუიტეტის ღირებულება ფასების ზრდასთან (რომელიც იზომება სამომხმარებლო ფასების ინდექსის

საფუძველზე) ერთად იზრდება, მაგრამ ინფლაციის პერიოდში მზღვეველები აწყდებიან ყველა საპენსიო გადახდის სიდიდის ზრდას და თუ ინფლაციის დონე საკმაოდ მაღალია, ისინი შეიძლება გადახდისუუნარონი აღმოჩნდნენ. ამიტომ სინამდვილეში ანუიტეტების უმეტესი ნაწილი ინფლაციასთან არის მიბმული, მაგრამ ინდექსაციის მაქსიმალური დონე შეზღუდულია და 5%-ს არ აღემატება. კერძო მზღვეველებისგან განსხვავებით, მომუშვე მოსახლეობისათვის გადასახადების გაზრდის გზით სახელმწიფოს შეუძლია ამ რისკის **გაზიარება/განაწილება**. ასე რომ, საბაზისო სახელმწიფო პენსიის ინდექსაციის ხარჯზე მთავრობა გარკვეულწილად თავს იზღვევს ინფლაციის აგრეგირებული რისკისგან.

სახელმწიფოს პოლიტიკა

ჩვენ დავრწმუნდით, რომ არსებობს რამდენიმე მიზეზი, რომელთა გამოც კერძო საპენსიო დაზღვევა არაეფექტიანი და არასამართლიანია, რაც ამართლებს სახელმწიფოს ჩარევას. ამ განყოფილებაში ჩვენ განვიხილავთ სახელმწიფოს მონაწილეობის სხვადასხვა ფორმას, პირდაპირი საპენსიო უზრუნველყოფის, საპენსიო დანაზოგების რეგულირების (მათ შორის საპენსიო დაზღვევის იძულება) და სუფსიდირების ჩათვლით. 4.1. ჩანართი გაგვაცნობს სხვადასხვა საპენსიო სისტემებს, რომლებიც სამ ქვეყანაში მოქმედებენ.

ჩანართი 4.1. ალტერნატიული საპენსიო სისტემები -

დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ავსტრალია

დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთის საპენსიო სისტემის პირველ დონეს წარმოადგენს საბაზისო სახელმწიფო პენსია - სტანდარტული სიდიდის მინიმალური პენსია, რომელიც მამაკაცებს ეძლევათ 65 წლის ასაკიდან, ხოლო ქალებს - 60 წლის ასაკიდან (2020 წლიდან ქალების პენსიაზე გასვლის ასაკი 65 წლამდე გაიზრდება), თუკი ისინი გადარიცხვებს საკმარისად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ახორციელებდნენ. მოცემული სისტემა პრაქტიკულად უცვლელია სერ უილიამ ბევერიჯის მიერ 1948 წელს მისი შემოღების შემდეგ. ის ეფუძნება თაობების სოლიდარობის პრინციპს, რადგან პენსიაზე მყოფი პირები პენსიას იღებენ მოცემულ მომენტში მომუშავე მოსახლეობისაგან შეგროვილი სახსრების ხარჯზე. 1980-იანი წლების დასაწყისიდან საბაზისო სახელმწიფო პენსიების ინდექსაცია ხდებოდა ინფლაციის (და არა ხელფასის ცვლილების) შესაბამისად და ამიტომ საბაზისო პენსიის სიდიდე გასამრჯელოს დონესთან მიმართებაში მცირდებოდა. ამ თავის დაწერის მომენტში მისი სიდიდე იყო საჭიროების შემოწმების საფუძველზე შემწეობის დონეზე ნაკლები, რომელიც გაიცემა როგორც სოციალური დახმარება და რომლის მიღებაც 60 წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეებს შეუძლიათ. ამიტომ პრაქტიკაში პენსიონერები, რომლებიც იღებენ საბაზისო სახელმწიფო პენსიას და დამატებითი შემოსავლები არ გააჩნიათ (ან აქვთ მცირე

შემოსავლები), ასევე იღებენ შემწეობასაც, რომელიც თავისი არსით არის საპენსიო სისტემის პირველი დონის ნაწილი.

1978 წლიდან მოქალაქეებს ასევე აიძულებენ მონაწილეობა მიიღონ საპენსიო უზრუნველყოფის მეორე დონეზე. მათ შენატანები უნდა გააკეთონ საპენსიო დაზღვევის სახელმწიფო სქემის ჩარჩოებში. მას ადრე ეწოდებოდა State Earnings-Related Pension Scheme – SERPS (ანუ გასამრჯელოზე დამოკიდებული საპენსიო დაზღვევის სახელმწიფო სქემა), ხოლო დღეს ცნობილია, როგორც მეორე სახელმწიფო პენსია - State Second Pension (S2P). მაგრამ ხალხს საშუალება აქვს უარი თქვას S2P სისტემაში მონაწილეობაზე, რომ კერძო საპენსიო დაზღვევის სისტემაში გადავიდეს. როდესაც SERPS შემოიღეს, ვარაუდობდნენ, რომ პენსიის სიდიდე ინდივიდის იმ გასამრჯელოების მეოთხედის ტოლი იქნებოდა, რომელსაც ის იღებდა თავისი შრომითი კარიერის საუკეთესო 20 წლის განმავლობაში (გადახდების მაქსიმალური სიდიდის მეზღუდვით), თუმცა შემდეგ ეს თანაფარდობა თანდათან მცირდებოდა და ახლო მომავალში S2P მხოლოდ საბაზისო სახელმწიფო პენსიის უნივერსალური დამატება იქნება.

ბევრი სხვა ქვეყნისგან, კერძოდ, გერმანიისაგან, განსხვავებით, დიდ ბრიტანეთში კერძო საპენსიო უზრუნველყოფა საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული. 1978 და 1988 წლებს შორის პერიოდში მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ, რომ დაეტოვებინათ SERPS და ფიქსირებული საპენსიო გადახდების სისტემაზე გადასულიყვნენ. მაგრამ 1988 წლიდან დღემდე მათ ასევე შეეძლოთ ფიქსირებული შენატანების სისტემის არჩევაც. ამ მომენტიდან საპენსიო ინვესტიციების (იმ სქემით, რომელიც ფიქსირებულ შენატანებს ითვალისწინებს) მოცულობამ დაიწყო ზრდა როგორც კოლექტიური (პროფესიონალი) მონაწილეების რიცხოვნობის, ისე საპენსიო პროგრამების ინდივიდუალური მყიდველების ხარჯზე. დღეს იმ ადამიანების დაახლოებით ნახევარი, ვინც პენსიაზე გადის, უფრო მეტ სახსრებს იღებს კერძო საპენსიო პროგრამების (ან კორპორატიულის, ან ინდივიდუალურის) ხარჯზე, ვიდრე სახელმწიფოსგან.

დიდი ბრიტანეთის საპენსიო სისტემა საკმაოდ რთულია. გამარტივებული სახით ის შედგება მინიმალური საბაზისო სახელმწიფო პენსიისა და დამატებითი საპენსიო დანაზოგებისაგან, რომელთა სტიმულურებას სახელმწიფო საგადასახადო შეღავათების საშუალებით ახორციელებს. პრაქტიკაში ყველაზე ეფექტიანი აღმოჩნდა სისტემა, რომლის დროსაც დამსაქმებელი თანამშრომლებს სთავაზობს სქემას ფიქსირებული გადახდებით.

გერმანია

1889 წელს გერმანიამ პირველად მსოფლიოში შემოიღო სახელმწიფო პენსიების სისტემა, რომელიც ოტო ბისმარკმა შეიმუშვა. ის არსებითად განსხვავდება დიდი ბრიტანეთის საპენსიო სისტემისაგან. ჯერ ერთი, ქვეყანაში მოქმედებს ერთადერთი სახელმწიფო საპენსიო სისტემა (Gesetzliche Rentenversicherung). მეორე, ის შემუშავებული იყო, როგორც უფრო შრომითი შემოსავლების ჩანაცვლების და არა როგორც ხანდაზმულ ასაკში სიღარიბისაგან დაცვის სისტემა. საპენსიო გადახდების სიდიდე დგინდება წინა შრომითი შემოსავლებიდან გამომდინარე და ამიტომ ასეთი სისტემა დაბალანაზღაურებად მომუშავეებთან შედარებით უფრო გულუხვია იმათ მიმართ, ვინც ბევრ ფულს გამოიმუშავებდა. როდესაც ხდებოდა SERPS-

ის შემუშავება, მას საფუძვლად იგივე პრინციპები დაედო. თუმცა მისი შემოღებიდან ძალიან მალე მან თანამიმდევრული რეფორმები განიცადა და სისტემის მომავალ დანახარჯებზე ზრუნვის გამო შეიზღუდა გულუხვი/უხვი საპენსიო გადახდები. დღეს გერმანიის საპენსიო სისტემა იმავე პრობლემის წინაშე დადგა. თუ დიდ ბრიტანეთში ბევრი ინდივიდი SERPS-დან დაზღვევის კერძო სისტემებში (პროფესიონალური ან ინდივიდუალური) გადავიდა, გერმანიაში თითქმის ყველა მომუშავე სახელმწიფო საპენსიო დაზღვევაში მონაწილეობს.

გერმანიის საპენსიო დაზღვევის სისტემა აგებულია თაობების სოლიდარობის პრინციპებზე, ანუ დღევანდელი პენსიონერები პენსიებს იღებენ მომუშავე მოსახლეობიდან შეგროვილი სახსრების ხარჯზე. დღეს სახელფასო ფონდიდან საპენსიო გადარიცხვების აუცილებელი დონე 19%-ს შეადგენს. თუ მოქმედი სისტემის რეფორმირება არ მოხდება, მაშინ 2050 წლისათვის პენსიონერების შესანახად მომუშავე მოსახლეობას გამომუშავებული შემოსავლის დაახლოებით 40%-ის გადახდა მოუწევს. ამ გარემოების გამო აუცილებელი გახდა მოქმედი სისტემის რეფორმების შემუშავება და ბოლო წლებში საპენსიო გადახდების სიდიდე შემცირდა, ხოლო პენსიაზე გასვლის ასაკი, პირიქით, გაიზარდა. წარმოქმნილი უფსკრულის შესავსებად სახელმწიფო ახდენს კერძო საპენსიო დაზღვევის (პროფესიული თუ ინდივიდუალური) სუფსიდირებას, რომელიც დღეს ქვეყნის ჯამური პენსიების დაახლოებით 10%-ს გასცემს.

ავსტრალია

დიდი ბრიტანეთისა და გერმანიისაგან განსხვავებით, ავსტრალიაში არასოდეს ყოფილა გადახდების და ინდივიდუალური შემოსავლების კავშირზე დაფუძნებული სოციალური დაზღვევის სისტემა. ამის მაგივრად ქვეყანაში მოქმედებს საპენსიო სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სიბერეში სტანდარტულ შემწეობებს, რომლებიც გაცივმა შემოსავლის შემოწმების პირობით და ასევე პროფესიული საპენსიო დანაზოგების სავალდებულო სისტემა (Super Annuation Guarantee).

ასაკობრივი პენსია დამოკიდებული არ არის ხელფასზე და მას იღებენ მამაკაცები 65 წლის და ქალები 60 წლის ასაკიდან (საპენსიო ასაკი ქალებისათვის თანდათან 65 წლამდე გაიზარდება). ინდივიდის მიერ პენსიის მიღების უფლების შეფასების დროს გათვალისწინებულია მისი მიმდინარე შემოსავალი და აქტივები (უძრავი ქონების გამოკლებით). ამიტომ პენსიაზე უფლების მისაღებად ბევრი ადამიანი მოთხოვნებს რომ შეესაბამებოდეს, დაგროვილ სახრებს ხარჯავს დიდი სახლების საყიდლად. პენსიონერების დაახლოებით სამი მეოთხედი იღებს ასაკით პენსიებს, ხოლო მათი ორი მესამედი - მაქსიმალურად დასაშვების სიდიდის პენსიას.

შემოსავლების შემოწმებაზე დაფუძნებული საბაზისო პენსიის გარდა გამოიყენება პროფესიული საპენსიო დანაზოგების სისტემა, რომელიც დამსაქმებლებს ავალდებულებს, რომ სახელფასო ფონდის 9% თანამშრომლების პერსონალურ დაგროვებით ანგარიშებზე გადარიცხონ. თანამშრომლები ვალდებულები არ არიან, რომ დამატებითი შენატანები გააკეთონ, მაგრამ სურვილის შემთხვევაში ამისი გაკეთების უფლება აქვთ. ამ სქემაში თანამშრომლების დაახლოებით 90% მონაწილეობს. დაბალშემოსავლიან თანამშრომლებს შენატანების განსახორციელებლად სტიმული რომ მისცენ, ინდივიდუალურ ანგარიშებზე გადარიცხულ თითოეულ ავსტრალიურ დოლარს სახელმწიფო 1,50 დოლარს ამატებს (რაც არ

აღმატება განსაზღვრულ მაქსიმალური თანხას). პენსიების მიღება შეიძლება ან ანუიტეტური გადახდების ფორმით, ან ერთჯერადად მთელი დაგროვილი თანხის სახით. ინდივიდების უმეტესობა უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებს. აშკარაა, რომ არსებობს პოტენციური კონფლიქტი პროფესიულ საპენსიო სისტემას, რომელიც დანაზოგების გაკეთებას მოითხოვს და სიბერის გამო პენსიების სახელმწიფო სისტემას შორის, რომელიც სტიმულებს ქმნის დაგროვილი აქტივების დასახარჯად, რომ სახელმწიფო მხარდაჭერის უფლება მოიპოვოს.

სახელმწიფო უზრუნველყოფა

შემოსავლების შემოწმება

პრინციპში, სამართლიანობის მიზნების მიღწევა სახელმწიფოს შეუძლია საპენსიო შემწეობების შემოღების ხარჯზე, რომლებიც ხანდაზმული ადამიანების შემოსავლების და კეთილდღეობის დონის შემოწმებას ეფუძნება. ასეთი სისტემა გამოიყენება ავსტრალიაში. 1999 წელს დიდ ბრიტანეთში მთავრობამ შემოიღო უფრო გულუხვი სქემა, რომელიც ცნობილია საპენსიო დაკრედიტების სახელით და ის ეფუძნება 60 წელზე უფროსი ადამიანების შემოსავლების შემოწმებას. ეს სქემა პენსიაზე გასული მოქალაქეების შემოსავლების მხარდაჭერის სისტემის სულ უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება, რადგან სახელმწიფო საბაზისო პენსიასთან შედარებით უფრო გულუხვ გადახდებს გასცემს და 2050 წლისათვის ის მოიცავს პენსიონერების 70%-ს. შემოსავლების შემოწმებაზე დაფუძნებული გადახდები წარმოადგენს შეზღუდული რესურსების განაწილების ეფექტიან ხერხს (მაგალითად, საბაზისო სახელმწიფო პენსიების სიდიდის გაზრდასთან შედარებით). თუმცა ასეთ მიდგომას იმის გამო აკრიტიკებენ, რომ ის ამცირებს შრომისუნარიანი მოსახლეობის დაგროვებისადმი სტიმულებს. ავსტრალიაში, სადაც დამატებითი დანაზოგები სავალდებულოა, გამოთქმული იყო არგუმენტები, რომ პენსიის დანიშვნის დროს შემოსავლების შემოწმება ადამიანებს თვითნებური აქტივების „შეჭმისკენ“ უბიძგებს.

აქ ჩვენ ვაწყდებით მორალური რისკის პრობლემის მაგალითს. ეს სიტუაცია ტიპურია დაზღვევის ნებისმიერი სახისათვის: როგორც უკვე აღინიშნა, როგორც კი ადამიანები დაეზღვევიან, ისინი ამცირებენ ძალისხმევას იმ არახელსაყრელის მოვლენის თავიდან ასაცილებლად, რომლისთვისაც დაეზღვივნენ და მნიშვნელობა არა აქვს, თუ რაზეა ლაპარაკი - იქნება ეს ხანძრის თავიდან ასაცილებლად გაზის ქურის გამორთვა თუ სიბერისათვის გაკეთებული დანაზოგები.

ასეთი პრობლემა იმიტომ წარმოიშობა, რომ მზღვეველს (მოცემულ შემთხვევაში - სახელმწიფოს) ინდივიდების ქმედებებისთვის ეფექტიანი თვალყურისდევნება არ შეუძლია; მას არ შეუძლია ერთმანეთისაგან განსახვავოს ისინი, ვისაც მართლაც არ ჰქონდა საპენსიო დანაზოგების განკეთების შესაძლებლობა და ისინი, ვინც ამისი გაკეთება არ მოისურვებს. ბევრ შემთხვევაში მორალური რისკის გამო კერძო ბაზარი არაეფექტიანი აღმოჩნდება, რასაც ადგილი ჰქონდა ჯანდაცვის შემთხვევაში, რომელიც ჩვენ 2 თავში განვიხილეთ. მოცემულ შემთხვევაში კი სახელმწიფო პრობლემას თვითონვე ქმნის ხანდაზმულ ასაკში სიბერის საწინააღმდეგოდ ინდივიდების დაზღვევის ხარჯზე.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ადამიანები ცდილობენ რომ სისტემას მოუფონ/აჯობონ. მაგრამ ეს ასე არ არის; სავარაუდოდ, თვითონ სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის არსებობის გამო იცვლება რესურსების ოპტიმალური დროითი განაწილება. დავუბრუნდეთ ჩვენს წინა მაგალითს და დავუშვათ, რომ სახელმწიფო გარანტირებულად აძლევს 4 ფ. სტ. ყველა იმ პენსიონერს, რომლის შემოსავალიც ამ თანხაზე ნაკლები აღმოჩნდება და არაფერს უხდის იმ პენსიონერს, რომლის შემოსავალიც ამ თანხას აღემატება. ინდივიდებს შეუძლიათ აირჩიონ 10 ფ. სტ. თანაბარი განაწილება ორ პერიოდს შორის (და ამ დროს სახელმწიფოსგან არაფერი მიიღონ). ეს იქნება 80-ის ტოლი მთლიანი სარგებლის შესაბამისი. ან მათ შეუძლიათ არ გააკეთონ დანაზოგი და 10 ფ. სტ. მთლიანად პირველ პერიოდში დახარჯონ და მაშინ ისინი მეორე პერიოდში სახელმწიფოსგან 4 ფ. სტ. მიიღებენ. ეს მათ 89 ერთეულის სარგებელს მოუტანს. ასე რომ, ინდივიდებისათვის ხელსაყრელია, რომ დანაზოგები არ გააკეთონ.

ჩვეულებრივ, მორალური რისკის პრობლემა მოსახლეობას არ ეხება. ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც გააკეთებენ აუცილებელ დანაზოგებს, რომლითაც მათ სიბერეში გარანტირებული ექნებათ შემოსავალი, რომელიც უსაფრთხო დონეს მნიშვნელოვნად აღემატება: ამ ადამიანებისათვის 4 ფ. სტ.-მდე საპენსიო შემოსავლის დაცემასთან დაკავშირებული დანახარჯები გადაწონიან პირველ პერიოდში მოხმარების გაზრდით მიღებულ მოგებას. მორალური რისკის პრობლემა უპირველეს ყოვლისა წარმოიშობა იმ ინდივიდებთან მიმართებაში, რომელთა საპენსიო შემოსავლები უსაფრთხო დონეს მხოლოდ მცირედით აღემატება. თუ არანაირი დამატებით ზომები მიღებული არ იქნება, მაშინ ამის გამო ხანდაზმულების სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის ხარჯები გაუმართლებლად გაიზრდება. მიუხედავად ამისა, სახელმწიფომ შეიძლება უპირატესობა მიანიჭოს სადაზღვევო საპენსიო სქემების ან შრომითი შემოსავლის ნაწილის სავალდებულო გადარიცხვის სქემების შემოღებას, რის შედეგად საკმარისად მაღალი ხელსაფასების ქონის პირობებში პენსიონერების მომავალი პენსიების დონე მინიმალურ დონეზე მაღალი იქნება.

სოციალური დაზღვევა: დაგროვებითი და სოლიდარულ-განაწილებითი საპენსიო სისტემები

ცალკეული შემთხვევების, ისეთის, როგორც ავსტრალია, (რომელიც შემოსავლის შემოწმებაზე დაფუძნებულ სისტემას იყენებს) გამოკლებით, ქვეყნების უმეტესობა მოქალაქეებს სთავაზობს სადაზღვევო პენსიებს (რომელთა შემგომი განხილვა 9 თავში გაგრძელდება). ყოველი ადამიანი (მილიონერიც კი) სიბერეში იღებს პენსიას, თუ აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს, რომელთა შორის არის ნამუშევარი წლების აუცილებელი რაოდენობა, რომელთა განმავლობაშიც ხორციელდებოდა გადარიცხვები საპენსიო ფონდში (როგორც დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში) ან ქვეყნის რეზიდენტის სტატუსს.

საერთო ჯამში არსებობს პენსიების დაფინანსების ორი ხერხი. პირველი იმაში მდგომარეობს, რომ მომუშავე მოსახლეობიდან საგადასახადო შენატანების ხარჯზე მოხდეს ამჟამინდელი პენსიონერების პენსიებით უზრუნველყოფა. ასეთ სისტემას სოლიდარულ-განაწილებითი^[9] ეწოდება და გამოიყენება, მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში. ალტერნატიული ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ შრომითი კარიერის განმავლობაში ინდივიდებმა

განახორციელონ საპენსიო გადარიცხვები, რომელთა ინვესტირებაც საპენსიო ფონდებში მოხდება პენსიაზე გასვლის მომენტამდე. ამ სისტემას დაგროვებით ან ფონდირებული^[10] სისტემა ეწოდება. კერძო საპენსიო ფონდები დაგროვებით პრინციპს იყენებენ და არანაირი წინააღმდეგობა არ არსებობს, რომ ეს მიდგომა სახელმწიფომაც გამოიყენოს.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს პენსიების დაფინანსება, მწვავე სამეცნიერო დისკუსიების და პოლიტიკური დებატების საგანი გახდა. როგორც ვნახეთ, მრავალ ქვეყანაში მოქმედი სოლიდარულ-განაწილებითი სისტემები ბოლო წლებში დაბერებადი მოსახლეობისაგან სულ უფრო დიდ ზეწოლას განიცდიან. პრობლემის არსი მარტივია - ამ ქვეყნებში პენსიების გასაცემად სახსრები უნდა გადარიცხოს მომუშავე მოსახლეობის (პენსიონერებთან შედარებით) სულ უფრო ნაკლებმა რაოდენობამ. გულუხვი საპენსიო სქემების პირობებში, როგორც გერმანიაშია, მათი დაფინანსების პრობლემა კრიტიკული ხდება. სოლიდარულ-განაწილებითი სისტემისაგან განსხვავებით ფონდირებული სისტემებს ასეთი პრობლემა არ აწუხებთ: რადგან ინდივიდები ხელფასის ნაწილს თავიანთ საპენსიო ანაგარიშებზე დამოუკიდებლად რიცხავენ, მათ სიბერეში დანაზოგები ყოველთვის ექნებათ. მაგრამ თუ ინდივიდები სიცოცხლეს დიდხანს აპირებენ, მაშინ მათთვის ხელმსაწვდომი საშუალოწლიური დანახარჯების სიდიდე შემცირდება. დაგროვებითი სისტემები ასევე არ გამორიცხავენ დიდი ბრიტანეთის საპენსიო კომისიის მიერ განსაზღვრული რთული გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას (დიდხანს მუშაობა, მეტი დაზოგვა ან სიბერეში ცხოვრების დონის შემცირება). უფრო მეტიც, სოლიდარულ-განაწილებითი სისტემიდან დაგროვებით სისტემაზე გადასვლა მტკივნეული იქნება, რადგან ერთ თაობას ერთდროულად მოუწევს თავისი მომავალი პენსიების და თავისი მშობლების პენსიების დაფინანსება.

მეორე არგუმენტი დაგროვებითი პენსიების სასარგებლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ინვესტიციებიდან უკუგების მიღების საშუალებას იძლევიან. სოლიდარულ-განაწილებით სისტემაში უკუგების ნორმა (ჯამური პენსიის სიდიდე ჯამური გადარიცხვების სიდიდესთან შედარებით) დაახლოებით ხელფასის ზრდის ტემპის ტოლია. დაგროვებითი სქემის შემთხვევაში ინდივიდს საპენსიო გადარიცხვების ჩადება შეუძლია ფასიან ქალაქებში, რომლებისგანაც მიღებული უკუგება ტრადიციულად ხელფასის ზრდაზე მაღალია. გარდა ამისა, დაგროვებითი სქემის ჩარჩოებში ინდივიდს უფრო მეტი არჩევანი აქვს, რადგან მას საპენსიო სახსრების ჩადება შეუძლია აქტივების ფართო ნაკრებში. საერთო ჯამში, რაც მეტია არჩევანი, მით უკეთესია, რადგან ინდივიდს თავისი სურვილების რეალიზაციის საშუალება გააჩნია. თუმცა ფინანსურ ბაზრებზე არსებული საინფორმაციო პრობლემები იწვევს გარკვეულ ეჭვებს იმასთან მიმართებაში, რომ ყველა ინდივიდს შეუძლია ოპტიმალური არჩევანის გაკეთება. უფრო მეტიც, ინვესტიციებიდან მოსალოდნელი უკუგების ზრდასთან ერთად იზრდება დანაკარგების რისკიც. ფინანსური ბაზრებისათვის დამახასიათებელია აღმასვლა და დაცემა. უშუალოდ ინდივიდის პენსიაზე გასვლის წინ ბაზრის ჩავრდანა საპენსიო შემოსავლებზე იქონიებს ნეგატიურ შედეგს. ამიტომ სოლიდარულ-განაწილებითი სისტემის უპირატესობა არის ის, რომ მისთვის დასაშვებია ტრანსფერი თაობებს შორის. ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელია აგრეგირებული რისკების (კოჰორტის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის რისკი ან ინფლაციური რისკი) თაობებს შორის განაწილება. დაგროვებითი სისტემის დროს ასეთი რამ შეუძლებელია.

რეგულირება

როგორც ადრე დავრწმუნდით, მრავალი მიზეზის გამო ფინანსურ ბაზარზე მომხმარებლებს ყოველთვის არ შეუძლიათ იმოქმედონ როგორც ეკონომიკურ მოდელებში არსებულმა რაციონალურმა, კარგად ინფორმირებულმა აგენტებმა. გადაწყვეტილებები, რომელთა მიღებაც მათ უწევთ, არის რთული და საჭიროებს კომპრომის მიმდინარე და ბუნდოვანი მომავალი მოხმარების მოცულობას შორის. გარდა ამისა, ხშირად ფინანსური ბაზრის პროდუქტები ძალიან რთულია (მაგალითად, საპენსიო გადარიცხვების გაკეთების გაუმჭვირვალე სქემები). პრინციპში, ფინანსური კონსულტანტები იმისათვის არსებობენ, რომ მომხმარებლებს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარონ, თუმცა მათ ასევე შეიძლება გააჩნდეთ სტიმულები, რომ კლიენტების არაოპტიმალური პროდუქტები შესთავაზონ.

დასახელებული პრობლემები საშუალებას იძლევიან, რომ დასაბუთდეს ფინანსური ბაზრების სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა. რეგულირების ეს ტიპი შეიძლება დახასიათდეს, როგორც *პროცესის რეგულირება*, რადგან ფინანსური მომსახურების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების დადების პროცესისთვის წესებს სახელმწიფო ადგენს. ასეთი რეგულირების მაგალითს წარმოადგენს ფინანსური პროდუქტების **ხელშეწყობის/წინაწვევის** წესები, ანუ გამყიდველს რისი რეკლამირება შეუძლია და რისი რეკლამირება არ შეუძლია ფინანსური პროდუქტის გაყიდვის დროს; ინფორმაციის გახსნისადმი არსებული მოთხოვნები, რომლებიც კომპანიებს ავალდებულებენ, რომ მათ ფინანსურ მრჩევლებს (რომლებიც მყიდველებს რეკომენდაციებს აძლევენ) წარუდგინონ პროდუქტის შესახებ მონაცემების სტანდარტული ნაკრები და პროფესიული ვარგისიანობის წესები. ფინანსური მომსახურების მიმწოდებლებს და მრჩევლებს შესაბამის საქმიანობის განხორციელებისთვის მარეგულირებელი ორგანოსაგან დამატებით უნდა ჰქონდეთ ნებართვა, რაც რეგულარული შემოწმებების ჩატარების და დაგენილი წესების დაცვის კონტროლის საშუალებას იძლევა.

ცოტა ხნის წინ დიდ ბრიტანეთში ასევე შემოღებული იქნა *პროდუქტების რეგულაციების* შეზღუდული ფორმები. ეს გაკეთდა ბაზარზე კონკურენციისათვის ხელშეწყობის მიზნით, რადგან ინფორმაციის ნაკლებლობა იყო ბარიერი, რომელიც ხელს უშლიდა ფინანსურ ბაზარზე მომხმარებლების მიერ შესყიდვების განხორციელებას. ასე რომ, 1999 წელს მთავრობამ შესთავაზა საპაიო საპენსიო სქემები - ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშები, სადაც შენატანების სტრუქტურა და მაქსიმალური დონე უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებს.

საპაიო საპენსიო სქემების შემოღება არის „ინფორმირებული არჩევანის“ პოლიტიკის ნაწილი. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ პენსიების საბაზისო დონის უზრუნველყოფის ვალდებულება თავის თავზე აიღო, თუმცა ამავე დროს მონაწილეებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ, თუ რა რაოდენობის სახსარი უნდა გადადონ პენსიისათვის საბაზისო დონის ზემოთ. ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ თუ ინდივიდები უზრუნველყოფილები იქნებიან არჩევანის „სწორი“ ვარიანტებით, მათ შორის „სწორი“ მიმწოდებლებით და თვალსაჩინო ინფორმაციით (რომელიც მოიცავს, მაგალითად, საპენსიო წინადადებებს, რომლებშიც მომავალი საპენსიო

უფლებები მკაფიოდ არის განსაზღვრული), მაშინ ადამიანები გონივრულ არჩევანს გააკეთებენ.

თუმცა საპენსიო დანაზოგების შესახებ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებში ბოლო დროს გაჩნდა პროკრასტინაციის და ინერტულობის სულ უფრო მეტი მტკიცებულება, რამაც სახელმწიფო პოლიტიკაში ცვლილებები გამოიწვია. საპენსიო კომისიის რეკომენდაციების საპასუხოდ 2006 წელს მთავრობამ განაცხადა, რომ ის შემოიღებს საპენსიო დანაზოგების ეროვნულ სქემას. ეს იქნება საპენსიო დაგროვებების რეალიზაციის გამარტივებული და მცირედანახარჯიანი ინსტრუმენტი. ნავარაუდევია *ავტომატური ჩარიცხვა*, ანუ **შეთანხმების თანახმად** მომუშავე ადამიანები მოცემული სქემის მონაწილეებად ჩაითვლებიან, ხოლო სურვილის შემთხვევაში ამ სქემიდან გასვლისთვის აუცილებელია მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ განცხადების გაკეთება. ეს სქემა გულისხმობს ინდივიდების უბრალო ინფორმირებაზე უფრო მეტს და ითვალისწინებს იმას, რომ ადამიანებს შეიძლება პრობლემები გაუჩნდეთ ინფორმაციის დამუშავების და ამის საფუძველზე დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების დროს. ასე რომ, სახელმწიფო თავის თავზე იღებს უფრო აქტიურ როლს და ხალხს საპენსიო დანაზოგების განხორციელებისკენ უბიძგებს. მაგრამ არც საპენსიო კომისია და არც მთავრობა არ აიძულებს ხალხს, რომ მათ საბაზისო სახელმწიფო პენსიის მინიმალურ დონეზე მეტი დაზოგონ.

მიუხედავად იმისა, რომ საბაზისო სახელმწიფო პენსიების სისტემის დაფინანსება საერთო გადასახადების ხარჯზე ხდება, ამ სისტემის საშუალებით გარანტირებულია საპენსიო უზრუნველყოფის სავალდებულო მინიმალური დონე (უკიდურეს შემთხვევაში მათთვის, ვისაც ანაზღაურებადი სამუშაო აქვს). თუმცა ადამიანების უმეტესობისათვის პენსიაზე გასვლის შემდეგ ამ სისტემიდან მიღებული შემოსავალი ნორმალური ცხოვრებისათვის არასაკმარისი იქნება, რადგან ის იქნება შრომითი შემოსავლების მედიანური სიდიდის დაახლოებით 30%. სავარაუდოდ, საბაზისო პენსია უზრუნველყოფს გარკვეულ საფუძველს, რომელიც მთავრობის იდეის მიხედვით მოქალაქეებმა კერძო დანაზოგებით უნდა შეავსონ. როგორც ვნახეთ, ბევრ სხვა ქვეყანაში, როგორცაა გერმანია, სახელმწიფო გასცემს უფრო გულუხვ პენსიებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს შრომითი გასამრჯელოს ჩანაცვლება და არა მხოლოდ შემოსავლის საბაზისო დონის გარანტირება. მიზეზები, რომელთა გამოც დიდი ბრიტნეთი ამ გზით არ წავიდა, მეტწილად ისტორიული ფაქტორებით აიხსნება [Hill, 2007], კერძოდ იმით, რომ ბევრი დამსაქმებელი თავის თანამშრომლებს უკვე უხდიდა გულუხვ პროფესიულ პენსიებს. მაგრამ ბოლო წლებში ფინანსური პრობლემების გამო მათ უარი თქვეს საპენსიო პროგრამების რეალიზაციაზე და ეს შეეხო არა მხოლოდ ახალ თანამშრომლებს, არამედ იმათაც, ვინც მათთან ადრეც მუშაობდა.

უფრო მნიშვნელოვანი საპენსიო დანაზოგების გასაკეთებლად ადამიანების იძულების იდეის მოწინააღმდეგეები ფიქრობენ, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს ჭარბი დაგროვებები ან იმ ფორმის დანაზოგები, რომლებშიც ხალხს დაგროვება შეიძლება არ სურდეს. ასეთი მიდგომა ფასდება, როგორც „გათანაბრების“ პოლიტიკა. ის არ ითვალისწინებს ცალკეული ადამიანების ინტერესების და ცხოვრებისეული სიტუაციების მრავალფეროვნებას, მაგალითად იმათ ინტერესებსა და ცხოვრებისეულ სიტუაციებს, ვისაც მოცემულ მომენტში ობიექტურად ჭირდება მნიშვნელოვანი სახსრები ან ვისაც უზრუნველყოფილი სიბერისათვის უძრავ ქონებაში სურს ინვესტირება. მიუხედავად ამისა, ლოდინია საჭირო იმის გასარკვევად, ინფორმირებული არჩევანი და საპენსიო დანაზოგების ეროვნულ სქემაში

ავტომატური მონაწილეობის მექანიზმი საკმარისი იქნება თუ არა არასრულყოფილი ინფორმაციის, პროკრასტინაციის და ინერციის პრობლემების დასაძლევად.

სუფსიდირება

დანაზოგების სხვა ფორმებისაგან (როგორცაა ანგარიშები ბანკში ან საცხოვრებელ-სამშენებლო კოოპერატივში, ან აქციებსა და ობლიგაციებში პირდაპირ ინვესტირებული ფული) განსხვავებით საპენსიო დაგროვებები წახალისებულია დიდი ბრიტანეთის საგადასახადო სისტემის მიერ. ინდივიდების მიერ კერძო საპენსიო დაზღვევის სისტემებში გადარიცხული თანხები თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან. შემდეგ კი მისი კომპენსირება ხდება იმ საპენსიო შემოსავლებზე არსებული გადასახადით, რომლებსაც ადამიანები პენსიაზე გასვლის შემდეგ იღებენ, მაგრამ საპენსიო დანაზოგების დაახლოებით ერთი მეოთხედი გადასახადისგან მთლიანად თავისუფლდება. გარდა ამისა, რადგან შრომითი აქტიურობის პერიოდში ადამიანები უფრო მეტ შემოსავლებს იღებენ, ვიდრე პენსიაზე ყოფნის დროს, ამიტომ გადასახადი საპენსიო გადახდებზე იმაზე ნაკლები იქნება, ვიდრე ისინი საპენსიო ფონდში შენატანებზე გადაიხდიდნენ.

საგადასახადო შეღავათები ნიშნავს საპენსიო დანაზოგებზე მნიშვნელოვან დანამტს. ბოლო შეფასებებმა აჩვენეს, რომ ეს სახელმწიფოს 14 მლრდ. ფ. სტ. უჯდება, თუმცა ეს შეფასებები აბსოლუტურად ზუსტად ვერ ჩაითვლება, რადგან ისინი ეუძნებიან ადამიანების ალტერნატიულ დამზოგველ ქცევას შეღავათების არარსებობის პირობებში. მიუხედავად ამისა, ეს თანხა საბაზისო სახელმწიფო პენსიების ბიუჯეტის დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენს.

საერთო ჯამში, საგადასახადო სტიმულებს დანაზოგებზე განსხვავებული ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ. ისინი ზრდიან დანაზოგებიდან მიღებულ უკუგებას, რაც ერთის მხრივ, ადამიანებს უფრო მეტი სახსრების შენახვისაკენ უბიძგებს, ხოლო მეორეს მხრივ - მათ აძლევს უფრო მეტის მოხმარების საშუალებას, როგორც პირველ, ისე მომავალ პერიოდში. ეს უკანასკნელი კი ნიშნავს, რომ ინდივიდები ზრდიან მიმდინარე მოხმარებას და ამცირებენ მიმდინარე დანაზოგებს. თუმცა დანაზოგებზე საერთო გავლენის გარდა, დაგროვების სხვა ფორმებთან შედარებით პენსიები სულ უფრო მიმზიდველი ინსტრუმენტი ხდება, რაც ხალხს სტიმულს აძლევს, რომ ინვესტირება სწორედ საპენსიო ფონდებში განახორციელონ და არა სხვა აქტივებში. ასე რომ, საგადასახადო შეღავათებს სახელმწიფო იყენებს ადამიანების სტიმულირებისათვის, რომ მათ დანაზოგები საპენსიო ფონდებში გააკეთონ. სახელმწიფო იმისკენ ისწრაფვის, რომ მოქალაქეებმა დანაზოგების გარკვეული ნაწილი შრომითი კარიერის დამთავრებამდე ხელუხლებლად შეინახონ, ხოლო საპენსიო გადახდებმა ანუიტეტის ფორმა მიიღონ. საგადასახადო შეღავათები აუცილებელია ადამიანების დასარწმუნებლად, რომ მათ ეს გააკეთონ, რადგან სხვა სიტუაციაში დანაზოგების ასეთ შედარებით ნაკლებადმომხიბვლელ ფორმაზე მათ შეიძლება უარი თქვან.

საგადასახადო შეღავათების დღევანდელი სისტემა მკვეთრად რეგრესიულ ხასიათს ატარებს. ის ბევრად უფრო ხელსაყრელია მდიდარი, ვიდრე ღარიბი ინდივიდებისათვის. ამკარაა, რომ მდიდარი ადამიანები, საერთო ჯამში, საპენსიო ფონდებში უფრო მეტი სახსრების ინვესტირებას ახორციელებენ. გარდა ამისა, საგადასახადო შეღავათების მოცულობა დამოკიდებულია საშემოსავლო გადასახადის ზღვრულ განაკვეთზე, ხოლო საშემოსავლო

გადასახადი მაღალი შემოსავლების მქონე ინდივიდებისათვის უფრო მაღალია^[11]. შეფასებებმა აჩვენეს, რომ საგადასახადო შეღავათებისაგან მიღებული ყველა სარგებლის ნახევარი მოდის ყველაზე მდიდარი გადასახადის გადამხდელების 10%-ზე, ხოლო ერთი მეოთხედი - ყველაზე მდიდრების 2,5%-ზე. ამკარაა, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია მდიდარ ადამიანებს საპენსიო დანაზოგების გაკეთება აუკრძალოს, მაგრამ მას შეუძლია შეზღუდვები დააწესოს შენატანების მაქსიმალურ სიდიდეზე, რომლებიც საგადასახადო შეღავათებს ექვემდებარებიან. უფრო მეტიც, სახელმწიფოს შეუძლია საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანებისთვის განკუთვნილი სუფსიდიების გაზრდა, თუ ყველა გადასახადის გადამხდელისთვის ერთი დონის საგასახადო შეღავათები იქნება შემოღებული (საშემოსავლო გადასახადის საბაზისო განაკვეთით შეზღუდვის გზით). გარდა ამისა, სახელმწიფოს შეეძლო შემოეღო პენსიების თანადაფინანსება იმის ანალოგიურად, რაც საპენსიო დანაზოგების ეროვნული სქემის ჩარჩოებში მოქმედებს: ნავარაუდევია, რომ საპენსიო ფონდში გადარიცხული გასამრჯელოს ყოველ 4%-ზე სახელმწიფო დამატებით 1%-ს გადაიხდის.

რეზიუმე

- პენსიები ადამიანებს უზრუნველყოფენ სახსრებით, რომლებიც შრომითი კარიერის დამთავრების შემდეგ ინარჩუნებენ/ხელს უწყობენ/ეხმარებიან დანახარჯების განსაზღვრულ დონეს. როგორც წესი, მომუშავე ინდივიდებს გააჩნიათ სტიმულები დანაზოგების გასაკეთებლად, რომლებიც საპენსიო პერიოდში უზრუნველყოფენ დანახარჯების მისაღებ დონეს. ამ პროცესს *მოხმარების ერთ დონეზე დაყვანა* ეწოდება.

სახელმწიფოს ჩარევა შეიძლება განპირობებული იყოს რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი, საზოგადოების ზოგიერთი წევრები იმდენად ღარიბები არიან, რომ მუშაობის დროს სახსრების სიბერისათვის დაზოგვა არ შეუძლიათ. მეორე, კერძო ბაზარმა შეიძლება ვერ შეძლოს გარკვეული რისკებისაგან (ინფლაციის რისკის და და მთელი ასაკობრივი კოჰორტისათვის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის რისკის ჩათვლით) ადამიანების დაზღვევა. მესამე, საპენსიო დანაზოგები საჭიროებენ რთული გადაწყვეტილებების მიღებას რთულ ფინანსურ პროდუქტებთან მიმართებაში. ბევრი ადამიანი კი ასეთი გადაწყვეტილებების მიღებას არ ჩქარობს.

- პრინციპში, შემოსავლების შემოწმების საფუძველზე გაცემული შემწეობების საშუალებით სახელმწიფოს შეუძლია მხარდაჭერის საბაზისო დონის უზრუნველყოფა, მაგრამ ამან შეიძლება შეამციროს ინდივიდების სტიმულები დამოუკიდებელი საპენსიო დანაზოგების მიმართ. შემწეობების ძირითად ალტერნატივას სოციალური დაზღვევის სახელმწიფო სისტემის შემოღება წარმოადგენს.

- ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ განისაზღვროს, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფო პენსიის სიდიდე. სახელმწიფოს შეუძლია საკმაოდ გულუხვი პენსიების გაცემა, მაგრამ მოსახლეობის დაბერება ასეთ სისტემას ძალიან ხარჯიანს გახდის. ამის ნაცვლად სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოფს მინიმალური პენსიები და დამატებითი კარძო დაზღვევის იმედი ჰქონდეს. კერძო საპენსიო დაზღვევის სტიმულირება

შესაძლებელია სუფსიდირების ან საპენსიო პროგრამების მონაწილეების რიცხვში ადამიანების ავტომატური ჩარიცხვის გზით.

დამატებით წასაკითხი ლიტერატურა

ჟურნალ “Oxford Review of Economic Policy”-ის გაზაფხულის ნომერში დაბეჭდილია რამდენიმე სასარგებლო სტატია, რომლებიც საპენსიო უზრუნველყოფის და პენსიაზე ყოფნის სხვადასხვა ასპექტს ეძღვნება. კერძოდ, ყურადღების მიქცევის ღირსია ბარის და დაიმონდის [Barr, Diamond, 2006] სტატია, რომელშიც საპენსიო უზრუნველყოფის ეკონომიკა არის განხილული, ჰილსის [Hills, 2006] და ბენქსის და სმიტის [Banks, Smith, 2006] სტატიები, რომლებიც დიდი ბრიტანეთის საპენსიო პრობლემებს ეძღვნება, და ასევე უაითჰაუსის და უაითფორდის [Whitehouse, Whiteford, 2007] სტატია, რომელშიც მოყვანილია მონაცემები ეუთო-ს ქვეყნებში საპენსიო რეფორმების შესახებ.

ბარი [Barr, 2000, 2004b] ორ ნაშრომში უფრო დაწვრილებით განიხილავს საკითხებს, რომლებიც დაიმონდთან ერთად ჰქონდა შესწავლილი [Barr, Diamond, 2006]. ასევე ყურადღებას იმსახურებენ დაიმონდის [Diamond, 1977, 2004] და ფელდშტეინის [Feldstein, 2004] ნაშრომები.

საპენსიო კომისიის მიერ მომზადებული ორი ანგარიში ხელმისაწვდომი ფორმით იძლევა დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის ანალიზს და მისი პრობლემების ანალიზს და ასევე მასში ფორმულირებულია მისი რეფორმირების წინადადებები. ორივე ანგარიში ყურადღებას იმსახურებს და მათი მოძებნა შეიძლება საიტებზე: <http://www.webarchive.org.uk/pan/16806/20070802/>; www.pensionscommission.org.uk/index.html. ჰილი [Hill, 2007] ასევე იძლევა დიდი ბრიტანეთის საპენსიო სისტემის საერთო მიმოხილვას.

ბრიუერს და სხვებს [Brewer et al., 2007] შემოსავლის გაზომვის სტანდარტულ მეთოდებზე დაყრდნობით გაანალიზებული აქვთ პენსიონერებს შორის სიღარიბის საკითხები, ხოლო დომინეის და კემპსონს [Dominey, Kempson, 2006] პენსიონერებს შორის სიღარიბე უფრო დაწვრილებით აქვთ განხილული და ეხებიან მატერიალური დეპრივაციის მაჩვენებლებს.

ახალი ქვევითი ეკონომიკის საკითხები გაანალიზებულია ტალერის და ბენარცის [Thaler, Benartzi, 2004, 2007] და ასევე ჩოის და თანაავტორების [Choi et al., 2004a, 2004b] ნაშრომებში.

კითხვების განხილვისათვის

1. დავუშვათ, რომ სახელმწიფომ დაისახა მიზანი - პენსიონერებს შორის სიღარიბის შემცირება. ღარიბებად რომელი პენსიონერები ჩაითვლებიან?
2. სამართლიანია თუ არა, რომ ერთიდაიგივე საპენსიო დანაზოგების თანხაზე ქალები ნაკლებ ანუიტეტურ გადახდებს იღებენ, ვიდრე მამაკაცები.

3. ბევრ სახელმწიფოში საპენსიო უზრუნველყოფის მთავარი ამოცანაა ღარიბი პენსიონერების მხარდაჭერა. ამან რა პოტენციური პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს?
4. თუ მე უპირატესობას მიმდინარე მოხმარებას ვანიჭებ და მთელ ჩემს ფულს ახალგაზრდობაში დავხარჯავ, სიბერეში სახელმწიფო უნდა დამეხმაროს?
5. „მორალური რისკის პრობლემა დამახასიათებელია საპენსიო დაზღვევის ბაზრებისათვის“. სწორეა ეს მოსაზრება?
6. თუ ადამიანები დიდხანს ცოცხლობენ, მაშინ მათ შრომითი კარიერის მანძილზე მეტი უნდა დაზოგონ, ან უფრო დიდხანს იმუშაონ, ან შეეგუონ იმას, რომ საპენსიო შემოსავლები ნაკლები იქნება. ასეთი არჩევანი ინდივიდებმა თვითონ უნდა გააკეთონ?
7. საპენსიო დანაზოგები უნდა იყოს იძულებითი?
8. საგადასახადო შეღავათები მნიშვნელოვან წილად რეგრესიულია და დიდად არ უწყობს ხელს დანაზოგების ზრდას. ასეთ შემთხვევაში საჭიროა თუ არა მათი გაუქმება?